საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

2017 წლის 21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების სადამკვირვებლო მისია

წინასაარჩევნო გარემოს მონიტორინგის პირველი შუალედური ანგარიში

(1 ივნისი - 31 ივლისი, 2017 წელი)

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს სადამკვირვებლო მისიის განხორციელება შესაძლებელი გახდა „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის (NED) და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“ და მისი შინაარსი, შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციების შეხედულებებს.

თბილისი, 2017

აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01
ვებ-გვერდი: www.gyla.ge
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

© 2017, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ს ა რ ჩ ე ვ ი

I. წინასიტყვაობა 4

II. სადამკვირვებლო მისიის მასშტაბი და მეთოდოლოგია 4

III. ძირითადი მიგნებები 5

IV. რეკომენდაციები 6

V. პოლიტიკური კონტექსტი 7

VI. საკანონმდებლო ჩარჩო 8

VII. უწყებათაშორისი კომისია 11

VIII. საარჩევნო ადმინისტრაცია 11

IX. პოლიტიკური პარტიების დაფინანსება 14

X. ადმინისტრაციული რესურსის სავარაუდო გამოყენების ფაქტები 14

XI. მუქარის, ზეწოლისა და ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტები 16

XII. წინასაარჩევნო კამპანიაში ხელშეშლის ფაქტები 18

XIII. სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტები 18

XIV. მედია გარემო 19

დანართი #1 23

I. წინასიტყვაობა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებას ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე მმართველობის ხელშეწყობა წარმოადგენს. ამ მიზნით, საია დაფუძნებიდან (1994 წელი) დღემდე აქტიურად არის ჩართული საკანონმდებლო, აღმასრულებელი და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების პროცესში, რა დროსაც სწავლობს წინასაარჩევნო, არჩევნების დღესა და შემდგომ პერიოდს, თუ რამდენად თავისუფალი, სამართლიანი, კონკურენტული და ინკლუზიური საარჩევნო გარემოა საქართველოში.

საარჩევნო პროცესებზე დაკვირვებისას, ორგანიზაციის მიზანს წარმოადგენს საარჩევნო კანონმდებლობისა და საერთაშორისოდ დადგენილი დემოკრატიული სტანდარტების დაცვის უზრუნველყოფა საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლების, საარჩევნო სუბიექტებისა და საჯარო მოხელეების მხრიდან. საარჩევნო პერიოდში საიას საქმიანობა არ შემოიფარგლება მხოლოდ დარღვევების გამოვლენით, არამედ, საარჩევნო ადმინისტრაციასა და სასამართლოში საჩივრების წარდგენის გზით, ორგანიზაცია ცდილობს, ხელი შეუწყოს საარჩევნო კანონმდებლობის თანმიმდევრული და პროგრესული განმარტების დანერგვას, დამრღვევთა წინააღმდეგ სამართლებრივი ზომების გატარებასა და დარღვევების შემდგომ პრევენციას.

საიას აზრით, არჩევნების მიმდინარეობის თაობაზე საზოგადოებისა და საარჩევნო პროცესებში ჩართული მხარეებისთვის მიუკერძოებელი, კომპეტენტური, დროული ინფორმაციის მიწოდება ხელს შეუწყობს საარჩევნო გარემოს სამართლიანობის ხარისხის გაუმჯობესებას და იმ პოზიტიური ასპექტების გაღრმავებას, რომლებიც წლების განმავლობაში იყო მიღწეული.

ასოციაციას სწამს რა სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების პრინციპების უზენაესობის, თავის საქმიანობაში მუდმივად იცავს სრულ ნეიტრალიტეტს პოლიტიკური პროცესების მიმართ. წლების განმავლობაში, საიამ თავისი საქმიანობით დაამტკიცა კანონის უზენაესობისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების ერთგულება და სწრაფვა სამართლიანი საარჩევნო გარემოს შესაქმნელად.

ამ მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ 2010 წელს ხელმოწერით აღიარა ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების გლობალური ქსელის (**GNDEM**) ინიციატივით არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის შემუშავებული სადამკვირვებლო მონიტორინგის გლობალური პრინციპების დეკლარაცია და ქცევის კოდექსი.[1]

წინამდებარე ანგარიში მოიცავს 2017 წლის 1 ივნისიდან 2017 წლის 1 აგვისტომდე პერიოდს და მასში ყურადღება გამახვილებულია საანგარიშო პერიოდში არსებულ დარღვევებსა და ცვლილებებზე. ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია წინასაარჩევნო კამპანიის ოფიციალურად დაწყებამდე განვითარებული მოვლენების შესახებ.

საიას 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მონიტორინგის მისიის განხორციელება შესაძლებელი გახდა „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

II. სადამკვირვებლო მისიის მასშტაბი და მეთოდოლოგია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო პროცესების დაკვირვებას ცენტრალური და 8 რეგიონული ოფისის მეშვეობით, თბილისსა და საქართველოს 9 რეგიონში: აჭარაში, გურიაში, იმერეთში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, კახეთში, მცხეთა-მთიანეთში, სამცხე -ჯავახეთსა და სამეგრელოში 20-მდე მონიტორის მეშვეობით ახორციელებდა.

საიას გრძელვადიანი დამკვირვებლები სწავლობდნენ არჩევნებში ჩართული სახელმწიფო უწყებების (საარჩევნო ადმინისტრაცია, აუდიტის სამსახური, უწყებათაშორისი კომისია, სამართალდამცავი ორგანოები და სასამართლო) საქმიანობას და აკვირდებოდნენ, თუ რამდენად გამჭვირვალედ, ობიექტურად და პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დაცვით მუშაობდნენ და იღებდნენ გადაწყვეტილებებს შესაბამისი უწყებები.

საიას მონიტორები სავარაუდო დარღვევებზე ინფორმაციას სხვადასხვა წყაროდან მოიპოვებდნენ, მათ შორის, საჯარო დაწესებულებებიდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის საშუალებით, ასევე, მასმედიით გავრცელებული ინფორმაციის მონიტორინგის გზით.[2] ხშირად, მოქალაქეები, პოლიტიკური პარტიის წევრები საიას მონიტორებს თავად აწოდებდნენ ინფორმაციას მათ მიერ დაფიქსირებული დარღვევების შესახებ. ინფორმაციის მიღების შემდგომ საიას დამკვირვებლები თითოეულ შემთხვევას უშუალოდ განმცხადებლებთან და იმ პირებთან ამოწმებდნენ, ვისაც შესაძლოა

[1] DECLARATION OF GLOBAL PRINCIPLES FOR NON-PARTISAN ELECTIONOBSERVATION AND MONITORINGBY CITIZEN ORGANIZATIONS and CODE OF CONDUCT FOR NON-PARTISAN CITIZEN ELECTION OBSERVERS AND MONITORS.

[2] ცენტრალური და რეგიონული პრესა, ნაციონალური და რეგიონული მაუწყებლები, ინტერნეტ გამოცემები.

საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ჰქონოდა. საიას იურისტები, საჭიროების შემთხვევაში, კონკრეტულ პირებს შესაბამის სამართლებრივ დახმარებას უწევდნენ.

III. ძირითადი მიგნებები

მუქარა, ზეწოლა და ფიზიკური ანგარიშსწორება

- საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა **2 ფიზიკური ანგარიშსწორების, 2 აგიტაციაში ხელშეშლის, 1 სავარაუდო პოლიტიკური ნიშნით ზეწოლისა და 1 სავარაუდო პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლების ფაქტი.**
- ძალადობისა და ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტები პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების მიმართ დაფიქსირდა.
- 23 ივლისს აღმაშენებლის გამზირზე „ევროპული საქართველოს“ მიერ ორგანიზებულ აქციაზე არსებობდა ძალადობის გარკვეული რისკები, თუმცა პოლიციამ უზრუნველყო იქ მყოფ პირთა უსაფრთხოება, რაც პოზიტიურ შეფასებას იმსახურებს.

მედია გარემო

- ბოლო პერიოდში მოხდა რამდენიმე მსხვილი მედიის გაერთიანება, რაც ასევე აისახა მათ სარედაქციო პოლიტიკაზე. აღნიშნული ცვლილებას უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვა საზოგადოებისა და სხვადასხვა ორგანიზაციების მხრიდან, რადგან ეს კონკრეტული ტელევიზიები მიჩნეულნი არიან, როგორც მმართველი გუნდის ინტერესების გამტარებელ მაუწყებლებად, რომელთა გაერთიანებაც ამ კუთხით არსებულ ეჭვებს კიდევ უფრო აღრმავებს.[3]
- მონიტორინგის განმავლობაში საზოგადოებრივ მაუწყებელზე დაიხურა სალომე ასათიანისა და გოგი გვახარიას საავტორო გადაცემები, რაც სავარაუდოდ განსხვავებული და კრიტიკული აზრის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებას წარმოადგენდა.
- საანგარიშო პერიოდში სადავო გახდა „რუსთავი 2“-ისა და „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ეთერში გაშვებული ვიდეორგოლები, რომლებიც სოციალური რეკლამის სახით განთავსდა ეთერში, თუმცა სადავო გახდა ამ რეკლამების პოლიტიკური შინაარსი. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მიიჩნია, რომ „რუსთავი-2“-მა კანონი დაარღვია, ტელეკომპანია სამართალდამრღვევად ცნო, თუმცა მის მიმართ პასუხისმგებლობა არ გამოიყენა. აღსანიშნავია, რომ ამ ფაქტამდე კომისიას არაწინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური შინაარსის რეკლამების სამაუწყებლო ბადეში განთავსების შემთხვევები გამოვლენილი არ ჰქონდა. აღნიშნული ორგანო სხვა ტელეკომპანიებით მხოლოდ მას შემდეგ დაინტერესდა, რაც მსგავი ხასიათის რეკლამების განთავსების თაობაზე ინფორმაცია „რუსთავი 2“-ისგან მიიღო. შესაძლოა, „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებისას კომისია შეეცადა მიკერძოებულ უწყებად არ წარმოჩენილიყო.

საარჩევნო ადმინისტრაცია

- საანგარიშო პერიოდში საარჩევნო ადმინისტრაციამ საინიციატივო ჯგუფებს გორსა და თელავში, აგრეთვე, არასამთავრობო ორგანიზაციას ოზურგეთში უარი უთხრა რეგისტრაციაზე, ვინაიდან რეგისტრაციის მოთხოვნის მომენტისათვის არჩევნების თარიღი არ იყო ცნობილი და არ არსებობდა შესაბამისი სამართლებრივი აქტი არჩევნების თარიღის დანიშვნის თაობაზე. მიგვაჩნია, რომ აღნიშნულმა დავებმა გამოავლინა მთელი რიგი საკანონმდებლო ხარვეზები, რომელიც ერთ შემთხვევში პოლიტიკური გაერთიანებებისა და საინიციატივო ჯგუფების საარჩევნო რეგისტრაციას, ხოლო მეორე შემთხვევაში არასაარჩევნო პერიოდში საზოგადოებრივი ორგანიზაციების საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობაში ჩართულობას უკავშირდება.[4]

ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება

- მონიტორინგის განმავლობაში ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტების ზრდა დაფიქსირდა. აღსანიშნავია, რომ გაზრდილი თანხები ძირითადად ჯანდაცვის, სოციალურ და ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, აგრეთვე, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე გადანაწილდა, რაც შესაძლოა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის

[4] https://jam-news.net/?p=11554&lang=ka

[4] საია მუშაობს და ახლო მომავალში გამოაქვეყნებს შესაბამისი დავების სამართლებრივ ანალიზს.

ამომრჩევლის გულის მოგებას ისახავდა მიზნად. მართალია, საარჩევნო კანონმდებლობით მსგავსი ცვლილებების განხორციელება მხოლოდ არჩევნების დღემდე 60 დღის განმავლობაში იკრძალება, თუმცა, ბიუჯეტის თანხების მობილიზება სოციალურ და ინფრასტრუქტურულ პროექტებზე აჩენს ეჭვს, რომ ინიცირებული ან გაზრდილი სოციალური პროექტები არჩევნებს უკავშირდება.[5]

- საიას მონიტორებისთვის ცნობილი გახდა ინფორმაცია არაერთი სოციალური და ინფრასტრუქტურული პროექტის შესახებ, რომელსაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები საანგარიშო პერიოდში ახორციელებდნენ. აღსანიშნავია, რომ მსგავსი სოციალური პროექტები მოკლე პერიოდზეა გათვლილი, ემთხვევა საარჩევნო პერიოდს და, სავარაუდოდ, ამომრჩევლის გულის მოგებას ისახავს მიზნად.
- აგრეთვე, დაფიქსირდა ინფორმაცია საქველმოქმედო პროექტების განხორციელების თაობაზე. კერძოდ, ძირითადად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები მოსახლეობას უფასო სამედიცინო გამოკვლევებსა და მომსახურებას უწევდნენ.
- საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატები, ასევე, ადგილობრივი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები აქტიურად ხვდებოდნენ მოსახლეობას, ინტერესდებოდნენ მათი პრობლემებით, ეცნობოდნენ მათ დასახლებაში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს და სამომავლო გეგმებზე ესაუბრებოდნენ. ზოგადად მსგავი აქტივობები კანონდარღვევას არ წარმოადგენს. თუმცა, მიგვაჩნია, რომ მაჟორიტარები და ადგილობრივი თვითმმართველობის მაღალი თანამდებობის პირები ყოველთვის აქტიურ კომუნიკაციაში უნდა იმყოფებოდნენ ამომრჩევლებთან და მხოლოდ საარჩევნო პერიოდში არ უნდა აქტიურდებოდნენ და აბარებდნენ მათ ანგარიშს.

IV. რეკომენდაციები

ხელისუფლების ორგანოებმა:

- არ უნდა დაუშვან ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება;
- უნდა უზრუნველყონ თანაბარი წინასაარჩევნო გარემო საარჩევნო პროცესში მონაწილე ყველა პარტიისა და კანდიდატისთვის;
- არ უნდა დაუშვან პოლიტიკური ნიშნით თანამშრომელთა სამსახურიდან გათავისუფლება;
- უნდა უზრუნველყონ დასაქმებული პირების უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

პოლიტიკური პარტიები და კანდიდატები

- საარჩევნო სუბიექტებმა და მათმა მხარდამჭერებმა თავი უნდა შეიკავონ დაპირისპირებისა და ძალადობისაგან, ასევე, ისეთი განცხადებებისა და მოქმედებებისგან, რომელიც წაახალისებს ან შეიწყნარებს ამგვარ ძალადობას;
- პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა უზრუნველყონ საკუთარი მხარდამჭერების დისტანცირება სხვა პარტიისა და კანდიდატების მიერ ორგანიზებული შეხვედრებისგან, ასევე, თავიდან უნდა აირიდონ ნებისმიერი სახის ხელშეშლა აგიტაციაში და ძალადობა.

სამართალდამცავი ორგანოები

- სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა დაიცვან საარჩევნო პროცესში მონაწილე პირები ძალადობისა და ნებისმიერი უკანონო ზემოქმედებისგან, ასევე, უნდა უზრუნველყონ საარჩევნო გარემოს უსაფრთხოება;
- სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ არჩევნებთან დაკავშირებული ინციდენტები იყოს დროულად, სრულყოფილად და ობიექტურად გამოძიებული;
- ასევე, მათ უნდა გამორიცხონ მიკერძოების აღქმა პოლიტიკურად აქტიურ პირებთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების მიმართ.
- ისევე როგორც 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე, მნიშვნელოვანია, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა კვლავ გამოსცეს ბრძანება არჩევნების თავისუფალ, მშვიდ გარემოში ჩატარების უზრუნველსაყოფად, ხოლო პოლიციელებმა გაიარონ სპეციალური მომზადება საარჩევნო

[5] აღსანიშნავია, რომ მსგავსი პრაქტიკა წინა არაერთ არჩევნებზეც დაფიქსირდა. სამწუხაროდ ასეთი მანკიერი პრაქტიკა კვლავ გრძელდება.

პერიოდში ჩადენილი სამართალდარღვევების პრევენციისა და მათზე დროული რეაგირების მიზნით. სასურველია მოხდეს პოლიციელთა აღჭურვა შესაბამისის ტექნიკით (მათ შორის სამხრე კამერებით).

V. პოლიტიკური კონტექსტი

2017 წლის 27 ივნისს საქართველოს პრეზიდენტმა არჩევნების თარიღი გამოაცხადა,[6] არჩევნების თარიღად ოქტომბრის მესამე კვირის ბოლო დაასახელა და განმარტა, რომ არჩევნების დანიშვნის თაობაზე აქტი 60 დღით ადრე, ანუ აგვისტოს ბოლოს იქნებოდა გამოცემული. პრეზიდენტმა არჩევნების თარიღის გამოცხადება 2016 წელს მომხდარი გაუგებრობის თავიდან აცილებით და საარჩევნო გარემოს განჭვრეტადობით ახსნა, რათა პოლიტიკურ პარტიებს 4 თვით ადრე ჰქონოდათ ინფორმაცია არჩევნების დღის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკურმა გაერთიანებებმა საარჩევნო სამზადისი გაცილებით ადრე, მაისიდან დაიწყეს, რაც ამომრჩევლებთან აქტიურ შეხვედრებსა და კანდიდატების დასახელებაში გამოიხატა.

საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად, პოლიტიკური გარემო კიდევ უფრო პოლარიზებული გახდა. მიუხედავად არაერთი საკითხისა, რაზეც ფართო საზოგადოებრივი კონსენსუსი კონსტიტუციის რეფორმის პროცესში ვერ შედგა, უმთავრეს წყალგამყოფად საარჩევნო სისტემის, კონკრეტულად, პროპორციული საარჩევნო სისტემის 2024 წლისთვის გადავადების საკითხი გახდა. ერთ მხარეს მმართველი პარტია, ხოლო მეორე მხარეს ყველა ოპოზიციური პარტია და არასამთავრობო ორგანიზაციები აღმოჩნდნენ.

ასევე, კრიტიკის საგანი გახდა საკანონმდებლო ცვლილებები ადგილობრივი თვითმმართველობისა და საარჩევნო კანონმდებლობაში, კერძოდ, 7 თვითმმართველი ქალაქის სტატუსის გაუქმება, რაც საზოგადოების ჩართულობის გარეშე განხორციელდა და 2014 წელს დაწყებული დეცენტრალიზაციის რეფორმის მიზნებისთვის უკან გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. აგრეთვე, ცვლილებები საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესში, რითაც გაიზარდა საარჩევნო ადმინისტრაციის პოლიტიზირების რისკები და განმტკიცდა მმართველი პარტიის დომინირებული მდგომარეობა საარჩევნო კომისიის ყველა დონეზე.[7]

საანგარიშო პერიოდში იმატა დისკრიმინაციულმა, ქსენოფობიურმა და სიძულვილის ენაზე დაფუძნებულმა დისკუსიებმა. გარკვეული პოლიტიკური და საზოგადოებრივი ჯგუფები საქართველოში მყოფ უცხოელთა წინააღმდეგ გამოვიდნენ და აქცია სახელწოდებით „ქართული მარში“ მოაწყვეს, რომლის დროსაც ხელისუფლებას საქართველოში მყოფ უცხოელთა ბინადრობისა და მოქალაქეობის მიღების წესების გამკაცრება მოსთხოვეს.

მოგვიანებით, ამ აქციის საპირისპიროდ ორი აქცია მოეწყო. პირველი აქცია ქალთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციამ, ხოლო მეორე - პოლიტიკურმა გაერთიანება „ევროპულმა საქართველომ“ მოაწყო. ორივე აქციის ორგანიზატორები „ქართული მარშის“ წარმომადგენლებისა და მათი იდეების წინააღმდეგ გამოვიდნენ და „ქართული მარშის“ მესვეურების მხრიდან გამოთქმული დიკრიმინაციული და ქსენოფობიური გამონათქვამები დაგმეს. აღსანიშნავია, რომ „ევროპული საქართველოს“ აქციაზე „ქართული მარშის“ მონაწილეებიც მივიდნენ, რომლებიც პოლიციისგან აქციის მონაწილეებთან მიახლოებას ითხოვდნენ. რომ არა პოლიცია, მაღალი ალბათობით, ევროპული საქართველოს აქცია ძალადობრივ სახეს მიიღებდა.

VI. საკანონმდებლო ჩარჩო

საკონსტიტუციო რეფორმა

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ხელისუფლებამ კომპლექსური საკონსტიტუციო რეფორმის განხორციელების თაობაზე განაცხადა, რათა შექმნილიყო გაუმჯობესებული დოკუმენტი ფართო პოლიტიკური კონსენსუსის საფუძველზე. ამასთან, „ქართული ოცნება“ საზოგადოებას დაჰპირდა, რომ 2020 წლისთვის საარჩევნო სისტემა შეიცვლებოდა და გახდებოდა უფრო სამართლიანი.[8]

საია სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრის სტატუსით, აქტიურად ჩაერთო საარჩევნო სისტემის რეფორმის ირგვლივ მიმდინარე დისკუსიებში. საარჩევნო სისტემა, პრაქტიკულად, ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა როგორც სამოქალაქო საზოგადოების, ისე ყველა პოლიტიკური

[6] http://georgianpress.ge/com/news/view/26213?lang=1

[7] https://gyla.ge/ge/post/arasamtavrobo-organizaciebis-mosazrebebi-saqartvelos-organul-kanonshi-saqartvelos-saarchevno-kodeqsi-shesatan-cvlilebebze#sthash.FJYA0Do7.dpbs

[8] http://www.osgf.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=23&info_id=4935

პარტიისთვის.[9] აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო რეფორმის დაწყებამდე საარჩევნო სისტემის ირგვლივ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ოპოზიციურ პარტიებს შორის უკვე არსებობდა კონსენსუსი მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის გაუქმებისა და პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით, რასაც წლების მანძილზე საერთაშორისო ორგანიზაციებიც უჭერდნენ მხარს.

კომისიის ოთხთვიანი საქმიანობის შედეგად, *მმართველმა გუნდმა საარჩევნო სისტემის ახალი წესი წარმოადგინა.* პროექტით შემოთავაზებული იყო შერეული საარჩევნო სისტემის გაუქმება და პარლამენტის არჩევა პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, რაც ნამდვილად მისასალმებელ გადაწყვეტილებას წარმოადგენდა. *თუმცა, სადავო გახდა მანდატების განაწილების წესი:* კონსტიტუციის პროექტი ითვალისწინებდა არჩევნებში პირველ ადგილზე გასული პარტიისთვის ულიმიტო ბონუსის შემოღებას, რომლის მიხედვითაც, ყველა გაუნაწილებელი მანდატი ერთ პარტიას მიეკუთვნებოდა. საარჩევნო სისტემის ეს ასპექტი უსამართლო იყო და მნიშვნელოვნად აკნინებდა მაჟორიტარული სისტემის გაუქმებით მიღებულ პოზიტიურ შედეგს. ამასთან, საარჩევნო ბლოკები უქმდებოდა, რაც, 5%-იანი ბარიერის შენარჩუნების პირობებში, აჩენდა რისკებს, რომ არჩევნების შედეგად მაღალი იქნებოდა გაუნაწილებელი მანდატების რაოდენობა. გაუნაწილებელი მანდატების ერთი პარტიისადმი მიკუთვნება საფრთხეს შეუქმნიდა პოლიტიკურ პლურალიზმს და ხელს შეუწყობდა ძალაუფლების ხანგრძლივ კონცენტრაციას ერთი პარტიის ხელში. აგრეთვე, *შემოთავაზებული ცვლილებებით უქმდებოდა პრეზიდენტის პირდაპირი არჩევის წესი და ის* არაპირდაპირ, პარლამენტის მიერ აირჩეოდა. საქართველოში დემოკრატიის განვითარების ხარისხის და ამომრჩეველთა ინტერესების გათვალისწინებით, პრეზიდენტი პირდაპირი წესით უნდა ყოფილიყო არჩეული, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევნების გაუქმება, საპარლამენტო მოდელიდან გამომდინარე, აუცილებლობას არ წარმოადგენდა.

საიამ არ დაიშურა ძალისხმევა კონსტრუქციული, ყოვლისმომცველი და კონსენსუსზე დაფუძნებული კონსტიტუციის მიღების პროცესის ხელშეწყობისთვის, თუმცა, აღმოჩნდა, რომ - უშედეგოდ. როგორც კომისიის წევრი, საია აქტიურად იყო ჩართული განხილვებში, როგორც კომისიის შიგნით, ასევე, საჯარო დისკუსიებსა და დებატებში. ორგანიზაციამ საკუთარი რეკომენდაციები წარადგინა საკონსტიტუციო კომისიის ფორმატში, მათ შორის, საარჩევნო სისტემასა და პრეზიდენტის არჩევის წესზე.[10] საიას წარმომადგენლები მონაწილეობდნენ კონსტიტუციის გადასინჯვის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვებში, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით გაიმართა.

ასევე, აპრილში, კომისიის ბოლო სხდომაზე, როდესაც კომისიის მიერ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღებოდა წარდგენილ ცვლილებებთან დაკავშირებით, კომისიის წევრ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებსა და ექსპერტებთან ერთად საიამ ალტერნატიული წინადადებები წარადგინა. აღნიშნული წინადადებები, შემოთავაზებულ პროექტთან შედარებით, მანდატების განაწილების უფრო სამართლიან წესს ითვალისწინებდა, მათ შორის, სახელისუფლებლო სტაბილურობის შენარჩუნების უზრუნველყოფით, რაც ამ კუთხით მმართველი გუნდის უმთავრეს არგუმენტს წარმოადგენდა. საკონსტიტუციო კომისიამ ალტერნატიული წინადადებები არ გაიზიარა.

ვინაიდან მმართველი პარტია ვენეციის კომისიის ყველა რეკომენდაციის გათვალისწინებას აანონსებდა, ვენეციის კომისიის პოზიცია შესაძლოა ყოფილიყო ყველაზე ეფექტური მექანიზმი კონსტიტუციის პროექტში არსებული პრობლემური ჩანაწერების გამოსასწორებლად. ამიტომ საიამ, კომისიის წევრ სხვა ორგანიზაციებთან ერთად,[11] ვენეციის კომისიას მიმართა და საკონსტიტუციო ცვლილებებზე დასკვნის გამოქვეყნებამდე საკუთარი მოსაზრებები წარუდგინა.[12] დოკუმენტში გამოთქმული იყო მოსაზრებები კონსტიტუციის პროექტით გათვალისწინებულ რამდენიმე ყველაზე მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით. მათ შორის საპარლამენტო საარჩევნო სისტემა და პრეზიდენტის არჩევის წესი. იმავდროულად საიამ ვენეციის კომისიას საქართველოს ეროვნული პლატფორმის 90-მდე ორგანიზაციასთან ერთადაც მიმართა.[13]

აღსანიშნავია, რომ ვენეციის კომისიამ პოზიტიურ ნაბიჯად შეაფასა პროპორციული სისტემის შემოღება და გაიზიარა სამოქალაქო საზოგადოების პოზიციები გაუნაწილებელი მანდატების განაწილებასთან დაკავშირებით.

მიუხედავად მმართველი პარტიის წარმომადგენელთა განცხადებებისა, რომ ვენეციის კომისიის ყველა რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნებოდა, ეს ასე არ მოხდა. მმართველმა პარტიამ გადაწყვიტა,

[9] თუმცა, საარჩევნო სისტემის რეფორმირების აუცილებლობასთან ერთად, საკონსტიტუციო კომისიის ფორმატში, საიამ არაერთ სხვა საკითხზე (მაგ. ადამიანის უფლებები, გენდერული თანასწორობა, სასამართლო ხელისუფლება და სხვ.) დააყენა რეკომენდაცია და გასწია მნიშვნელოვანი ადვოკატირება.

[10] საიას რეკომენდაციები.

[11] სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო და ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო.

[12] https://gyla.ge/ge/post/arasamtavrobo-organizaciebi-veneciis-komisias-mimartaven#sthash.mHg7sAyD.dpbs

[13] https://gyla.ge/ge/post/saqartvelos-erovnuli-platformis-mimartva-veneciis-parlaments#sthash.858O1udU.dpbs

უგულებელყო არამარტო ვენეციის კომისიისგან მიღებული პასუხი, არამედ ასევე საკონსტიტუციო კომისიის მუშაობის მთელი პროცესი, სამოქალაქო საზოგადოებისა და ყველა პოლიტიკური პარტიის შეხედულებები.

გუნდში შეუთანხმებლობის მოტივით, არსებული ყველა მოლოდინის და პროექტის თავდაპირველი ვარიანტის საწინააღმდეგოდ, მმართველმა გუნდმა საარჩევნო სისტემაში ცვლილებების დანერგვა 2024 წლამდე გადადო და ისევ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა შეინარჩუნა, ხოლო პრეზიდენტის არჩევის არაპირდაპირი წესი 2023 წლისთვის გადაიდო.[14]

უმრავლესობის წარმომადგენლების განცხადებით, 2020 წლის არჩევნებისთვის ბარიერი ერთჯერადად 3%-მდე შემცირდებოდა.

საარჩევნო სისტემაზე მმართველი პარტიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება კრიტიკულად შეაფასა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ.[15] საიამ, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, საქართველოს პარლამენტს მოუწოდა უფრო მეტი დრო დაეთმო საკონსტიტუციო ცვლილებების ირგვლივ ფართო კონსენსუსის მიღწევისთვის, ცვლილებების საპარლამენტო ფორმატში განხილვა და გადაწყვეტილებების მიღება კი შემოდგომისთვის გადაედო.[16]

მიუხედავად აღნიშნულისა, 22-23 ივნისს, პოლიტიკური პარტიების, სამოქალაქო ორგანიზაციებისა და საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან გამოხატული პროტესტის ფონზე, პარლამენტმა დაიწყო კანონპროექტის განხილვა საპარლამენტო კომიტეტებში ვენეციის კომისიის დასკვნის გამოქვეყნებამდე. საკანონმდებლო ორგანომ კანონპროექტი პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე ორი მოსმენით ორ დღეში განიხილა და მიიღო.[17] საბოლოოდ, ტექსტი მიღებული იყო განსხვავებული მოსაზრებების სრული იგნორირებით, ერთპარტიულად და ერთხმად.

საიამ ეს გარემოება შეაფასა ძალაუფლების კონსოლიდაციისკენ მიმართულ პირდაპირ და გამიზნულ მცდელობად და ნაბიჯად, რაც საქართველოში დემოკრატიისთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა. დარჩა შთაბეჭდილება, რომ შერეული სისტემის შენარჩუნებით მმართველი გუნდი ცდილობდა, შეექმნა გარანტიები, რომლებიც ხელს შეუწყობდა უპირატესობის მოპოვებაში 2020 წლის არჩევნებზე. ასევე, რჩებოდა განცდა, რომ სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა მოჩვენებითი იყო და, თანამშრომლობის კონსტრუქციული ფორმატების მიუხედავად, არსებითი ცვლილებების მიღწევა ვერ ხერხდებოდა.[18]

საიამ, პარტნიორორგანიზაციებთან ერთად, მმართველ პარტიას მოუწოდა, გაეთვალისწინებინა ვენეციის კომისიისა და სამოქალაქო სექტორის რეკომენდაციები, ასევე, შეესრულებინა საზოგადოებისთვის მიცემული დაპირება და საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები მაქსიმალური კონსენსუსის შედეგად და აუჩქარებლად მიეღო.[19]

საკონსტიტუციო ცვლილებების მესამე მოსმენა საშემოდგომო სესიაზე იგეგმება.

ცვლილებები საარჩევნო კანონმდებლობაში

5 ივნისს პარლამენტში დარეგისტრირდა კანონპროექტი, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, ითვალისწინებდა ცვლილების შეტანას საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესში.[20] კანონპროექტის მიღების მიზანს წარმოადგენდა საარჩევნო ადმინისტრაციის, როგორც სტაბილური ინსტიტუციის, საქმიანობის გაუმჯობესება. თუმცა, ცვლილებები მეტად პრობლემური იყო როგორც საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ სანდოობის შენარჩუნების კუთხით, ისე პოლიტიკურ ძალებს შორის თანასწორი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ვინაიდან ის ცალსახად ემსახურებოდა საარჩევნო ადმინისტრაციაში მმართველი პარტიის პოზიციების განმტკიცებას.

მაგალითად, თუ მოქმედი წესის თანახმად, პარტიების მიერ დანიშნული შვიდი წევრიდან „ქართულ ოცნებას“ მხოლოდ ერთი წევრი ჰყავს, კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, მას ოთხი წევრი ეყოლებოდა.

---

[14] https://gyla.ge/ge/post/arasamtavrobo-organizaciebi-saqartvelos-demokratiuli-ganvitareba-safrtkheshia#sthash.ReuWJdxr.dpbs

[15] https://gyla.ge/ge/post/arasamtavrobo-organizaciebi-saqartvelos-demokratiuli-ganvitareba-safrtkheshia#sthash.Ska0SNRF.dpbs

[16] https://gyla.ge/ge/post/arasamtavrobo-organizaciebi-parlaments-moutsodeben-konstituciis-proeqtis-gankhilva-daitsyos-sashemodgomo-sesiaze#sthash.dDMgcNZ4.dpbs

[17] ტექსტი მიღებულ იქნა პირველი მოსმენით პლენარულ სხდომაზე 22 ივნისს; შესაბამისმა კომიტეტებმა ტექსტი მიიღეს მეორე მოსმენით 23 ივნისს და, ასევე, პლენარულ სხდომაზე იმავე დღეს.

[18] https://gyla.ge/ge/post/arasamtavrobo-organizaciebi-saqartvelos-demokratiuli-ganvitareba-safrtkheshia#sthash.JG1PvNTW.dpbs

19 https://gyla.ge/ge/post/saarchevno-sistemaze-mmartveli-partiis-gadatsyvetileba-miughebelia#sthash.JCspj3eL.dpbs

[20] https://gyla.ge/ge/post/arasamtavrobo-organizaciebi-saarchevno-komisiebis-dakompleqtebis-akhal-tsesze#sthash.XkWJbiw9.dpbs

ცვლილება მმართველი გუნდის დეპუტატების მიერ იყო მომზადებული და, პროექტის მიხედვით, ის ძალაში 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების გამოქვეყნების შემდეგ უნდა შესულიყო.

ვინაიდან პროექტი ზრდიდა საარჩევნო ადმინისტრაციის პოლიტიზირების რისკებს, საიამ მოუწოდა საქართველოს პარლამენტს, არ დაეჭირა მხარი აღნიშნული ცვლილებებისთვის.

ასევე, საიამ სადავო პროექტთან დაკავშირებით კონკრეტული მოსაზრებები პარლამენტში წარადგინა, სადაც ორგანიზაციის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის საკომიტეტო განხილვაში.[21] პარლამენტმა სადავო პროექტი დაამტკიცა, თუმცა, საქართველოს პრეზიდენტმა მას ხელი არ მოაწერა და მოტივირებული შენიშვნებით საკანონმდებლო ორგანოს უკან დაუბრუნა. საქართველოს პარლამენტმა პრეზიდენტის ვეტო დაძლია.

აღსანიშნავია, რომ საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესი საჭიროებს ძირეულ ცვლილებას. თუმცა, შემოთავაზებული ცვლილება იყო ფრაგმენტული და არა სისტემური მიდგომა რეფორმისადმი, ამასთან, პრაქტიკაში გამოკვეთილი არაერთი პრობლემური ასპექტის მოწესრიგების ნაცვლად, შემოთავაზებული რეფორმა ახალ პრობლემას აჩენს.

საიას მიაჩნია, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის ზედა რგოლები მხოლოდ პროფესიული ნიშნით არჩეული, დამოუკიდებელი წევრებით უნდა დაკომპლექტდეს, რაც გაზრდის საარჩევნო ადმინისტრაციის ნდობას. ხოლო გარდამავალ პერიოდში მნიშვნელოვნად უნდა გაუმჯობესდეს საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსის ჩატარების მარეგულირებელი ნორმატიული ბაზა.

ცვლილებები ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონმდებლობაში

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე, 2017 წლის ივნისში, საქართველოს ხელისუფლებამ 7 თვითმმართველი ქალაქისათვის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის სტატუსის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო,[22] რაც ერთმნიშვნელოვნად, დეცენტრალიზაციის რეფორმის დეკლარირებული პრინციპებიდან გადახვევას წარმოადგენდა. ხელისუფლებამ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების მიზეზად გაზრდილი ხარჯები დაასახელა.

მთავრობის აღნიშნული ინიციატივის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება გამოხატა არა მარტო სამოქალაქო სექტორმა, არამედ იმ მუნიციპალიტეტების მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა, რომელთა გაერთიანებაც იგეგმებოდა. ეს განწყობა კიდევ ერთხელ ნათლად დადასტურდა რეგიონებში კონსტიტუციის განხილვის დროს მოქალაქეების გამოსვლებისას. ცნობილი გახდა, რომ გარკვეული ზეწოლა მიმდინარეობდა ამ მუნიციპალიტეტების ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებზე იმისათვის, რომ საკრებულოებს ერთხმად დაეჭირათ მხარი სამინისტროს მიერ მომზადებული ცვლილებებისთვის. აღსანიშნავია, რომ ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრომ აღნიშნული კანონპროექტის შემუშავების პროცესი წარმართა საზოგადოების წარმომადგენლებისა და ექსპერტების ყოველგვარი ჩართულობის გარეშე. მით უფრო იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მარტის ბოლოს 130-მდე არასამთავრობო, სათემო და მედია ორგანიზაციამ საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს მიმართა და დისკუსიებში ჩართულობის მზადყოფნა დააფიქსირა. სამწუხაროდ, ამ მიმართვას ხელისუფლების მხრიდან არანაირი დიალოგის სურვილი ან კონსულტაციების გამართვის მცდელობა არ მოჰყოლია.

საიას მოსაზრებით, თვითმმართველი ქალაქების რაოდენობის შემცირება ცალსახად უკან გადადგმული ნაბიჯია როგორც თვითმმართველობის რეფორმის, ისე, ზოგადად, ქვეყნის განვითარებისთვის, რაც ურთიერთს აშორებს მოსახლეობასა და ხელისუფლებას და ამცირებს ადგილობრივი დემოკრატიის სტანდარტს.[23] იმავდროულად, თვითმმართველი ქალაქების გაუქმება და მათი კვლავ სათემო მუნიციპალიტეტებთან გაერთიანება შეაფერხებს როგორც ქალაქის, ისე სოფლის განვითარებასაც. გარდა ამისა, ქალაქი, რომელსაც არ ჰყავს მოსახლეობის მიერ არჩეული და მის წინაშე ანგარიშვალდებული ადგილობრივი ხელისუფლება, არ აქვს საკუთარი შემოსავლები, ქონება და ბიუჯეტი, კარგავს განვითარების სამომავლო პერსპექტივებსაც.[24]

[21] https://gyla.ge/ge/post/arasamtavrobo-organizaciebis-mosazrebebi-saqartvelos-organul-kanonshi-saqartvelos-saarchevno-kodeqsi-shesatan-cvlilebebze#sthash.nLfMdoBY.dpbs

[22] თელავის, გორის, ოზურგეთის, ამბროლაურის, ახალციხის, ზუგდიდის და მცხეთის მუნიციპალიტეტები. აღნიშნული გადაწყვეტილება საიამ სასამართლოში გასაჩივრა.

[23] https://gyla.ge/ge/post/121-organizaciis-mimartva-savaraudod-7-tvitmmartveli-qalaqis-statusis-gauqmebis-shesakheb

[24] https://gyla.ge/ge/post/arasamtavrobo-organizaciata-mimartva

VII. უწყებათაშორისი კომისია

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2017 წლის 30 ივნისის №1238 ბრძანებით, 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის შეიქმნა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია (შემდგომში - „კომისია“) და დამტკიცდა კომისიის დებულება.[25]

უწყებათაშორისმა კომისიამ საანგარიშო პერიოდში, საერთო ჯამში, 2 სხდომა გამართა და 3 რეკომენდაცია გამოსცა. კომისიამ არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიებსა და საარჩევნო სუბიექტებს მოუწოდა, თბილისის მასშტაბით ემოქმედათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის №16-38 დადგენილებით განსაზღვრული წესების შესაბამისად,[26] რათა წინასაარჩევნო პერიოდში ყველა კანდიდატს ჰქონოდა შესაძლებლობა, თანაბარი პირობებით განეთავსებინა ბეჭდური სააგიტაციო მასალა. აგრეთვე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს მოუწოდა, უზრუნველეყოთ შესაბამისი სამართლებრივი რეგულაციების დაწესება და მათ შესრულებაზე კონტროლი, რათა პოლიტიკურ პარტიებს ადგილობრივ დონეზე თანაბარი პირობებით შესძლებოდათ მათი სააგიტაციო მასალის განთავსება.[27] აგრეთვე, უწყებათაშორისმა კომისიამ საარჩევნო პროცესში ჩართულ პოლიტიკურ პარტიებსა და არჩევნებში მონაწილეობის მსურველ საჯაროდ გამოცხადებულ კანდიდატებს მოუწოდა, თავი შეეკავებინათ იმგვარი ქმედებებისგან, რომლებიც საზოგადოებაში ადმინისტრაციული რესურსის საარჩევნო მიზნებისათვის გამოყენების განცდას გააჩენდა და სხვა პოლიტიკური გაერთიანებებისა თუ კანდიდატების არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენებას გამოიწვევდა, მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების დანიშვნის თაობაზე სამართლებრივი აქტი ჯერ გამოცემული არ იყო.[28]

საანგარიშო პერიოდში საიამ უწყებათაშორის კომისიას 2 განცხადებით მიმართა კანონმდებლობის სავარაუდო დარღვევის 2 ფაქტთან დაკავშირებით, რომლებიც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს უკავშირდებოდა. კომისიაზე შესაბამისი უწყებების წარმომადგენელთა მხრიდან მოსმენილ იქნა ინფორმაცია ორივე ფაქტთან დაკავშირებით. მათ შორის ახალციხეში მომხდარ ძალადობრივ ინციდენტთან დაკავშირებით ხუთი პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო.

VIII. საარჩევნო ადმინისტრაცია

საარჩევნო პერიოდში საარჩევნო ადმინისტრაცია ახორციელებდა პროექტს - სახელწოდებით „ვესაუბრებით ამომრჩეველს“. პროექტის მიზანს წარმოადგენდა მოსახლეობის ინფორმირებულობა და ცნობიერების ამაღლება, ზოგადად, არჩევნებსა და საარჩევნო უფლებებზე. საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლები ატარებდნენ ღია კარის დღეს, სადაც დაინტერესებულ მხარეებს აწოდებდნენ ინფორმაციას 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შესახებ. ვფიქრობთ, რომ მსგავსი პროექტები მნიშვნელოვანია და დადებით შეფასებას იმსახურებს. მათი საშუალებით იზრდება ამრჩეველთა ინფორმირებულობა და ნდობა საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ.

საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაცია

მონიტორინგის განმავლობაში ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფებმა საარჩევნო რეგისტრაციისთვის თვითმმართველ ქალაქებში - გორსა და თელავში - შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიებს მიმართეს. მათ სურდათ გორში - მერისა და გამგებლის დამოუკიდებელი კანდიდატის, ხოლო თელავში - მერობის კანდიდატის დარეგისტრირება.

საინიციატივო ჯგუფების არგუმენტით, საარჩევნო კოდექსის 133-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მათ უფლება ჰქონდათ, საოლქო კომისიებისთვის რეგისტრაციის მოთხოვნით მიემართათ. ისინი აცხადებდნენ, რომ საარჩევნო კოდექსით განსაზღვრული იყო საინიციატივო ჯგუფებისათვის რეგისტრაციის ბოლო ვადა - კენჭისყრამდე არაუგვიანეს 57-ე დღე, თუმცა, კოდექსით არაფერი იყო ნათქვამი რეგისტრაციის ზედა ზღვარზე, თუ როდიდან შეეძლო საინიციატივო ჯგუფს რეგისტრაციისთვის საოლქო საარჩევნო კომისიისთვის მიემართა.

იმ არგუმენტით, რომ გამოცემული არ იყო არჩევნების დანიშვნის თაობაზე სამართლებრივი აქტი, არ იყო დაწყებული წინასაარჩევნო პერიოდი (საარჩევნო პერიოდი და საარჩევნო პროცედურების განხორციელება), ასევე, არ იყო ცნობილი არჩევნების (კენჭისყრის) დღე, ორივე ოლქის შემთხვევაში,

[25] https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3719758

[26] სააგიტაციო მასალისათვის გათვალისწინებულ სტენდებზე თითოეულ საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს, გააკრას 1 ცალი საარჩევნო პლაკატი, ზომა - არაუმეტეს 60 სმ სიგრძე, 42 სმ სიგანე (A2 ფორმატი).

[27] 2017 წლის 17 ივლისის სხდომა.

[28] 2017 წლის 31 ივლისის სხდომა.

საინიციატივო ჯგუფებს საოლქო კომისიებმა უარი უთხრეს რეგისტრაციაზე. საოლქო საარჩევნო კომისიების უარი საინიციატივო ჯგუფებმა ცესკოში გაასაჩივრეს. მათი მოსაზრებით, ადგილი ჰქონდა პასიური საარჩევნო უფლების შეზღუდვას, აგრეთვე, საინიციატივო ჯგუფები დისკრიმინირებულ მდგომარეობაში იყვნენ პოლიტიკურ გაერთიანებებთან შედარებით, რომელთა საარჩევნო რეგისტრაციასაც საარჩევნო ადმინისტრაცია იმავე პერიოდში ახორციელებდა.[29] ცესკომ ქვემდგომი კომისიის პოზიცია გაიზიარა და საჩივარი არ დააკმაყოფილა.

აღსანიშნავია, რომ გარდა საინიციატივო ჯგუფებისა, მაგალითად, ოზურგეთში საოლქო საარჩევნო კომისიას რეგისტრაციისათვის არასამთავრობო ორგანიზაციამაც მიმართა, რომელმაც, საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-40 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმად, ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციად რეგისტრაცია მოითხოვა.[30] იმ არგუმენტით, რომ მიმართვის მომენტისათვის არჩევნების თარიღი არ იყო ცნობილი და არ არსებობდა შესაბამისი სამართლებრივი აქტი არჩევნების თარიღის განსაზღვრის თაობაზე, ისევე, როგორც საინიციატივო ჯგუფებს, არასამთავრობო ორგანიზაციასაც უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

აღსანიშნავია, რომ საარჩევნო კანონმდებლობა ადგენს საარჩევნო რეგისტრაციის ერთნაირ რეჟიმებს საინიციატივო ჯგუფებისა და ისეთი პარტიებისთვის, რომლებიც რეგისტრირებულნი იყვნენ წინა საპარლამენტო არჩევნებზე ან არჩევნების დანიშვნის დღისთვის ჰყავთ წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში. რეგისტრაციის მოთხოვნის განსხვავებული წესები პოლიტიკური პარტიებისა და საინიციატივო ჯგუფებისათვის მხოლოდ იმ პარტიებთან მიმართებით არსებობს, რომლებსაც არჩევნების დანიშვნის დღისთვის არ ჰყავთ წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში ან არ იყვნენ რეგისტრირებულნი ბოლო საპარლამენტო არჩევნებისას.[31] ამ ტიპის პარტიებს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წლის განმავლობაში ნებისმიერ დროს, თუმცა, არაუგვიანეს 15 ივლისამდე, შეუძლიათ რეგისტრაციისთვის მიმართონ საარჩევნო კომისიას. შესაბამისად, ამ შემთხვევაში სახეზეა საინიციატივო ჯგუფებისა და პარტიების რეგისტრაციის მოთხოვნის განსხვავებული ვადები. თუმცა, ეს გარემოება შესაძლოა იმ არგუმენტით იყოს ახსნილი, რომ, თავის მხრივ, ასეთ პოლიტიკურ გაერთიანებებს კანონმდებლობა განსხვავებულ მოთხოვნას უდგენს მხარდამჭერთა ხელმოწერების მოგროვებისა და საარჩევნო ადმინისტრაციაში წარდგენის კუთხით.[32] მაგალითად, კვალიფიციურმა სუბიექტმა 1000 ხელმოწერა უნდა მოაგროვოს, ხოლო, თუ ის არ არის კვალიფიციური სუბიექტი, უნდა მოაგროვოს სულ ცოტა 25 000 ხელმოწერა და ისინი საარჩევნო ადმინისტრაციაში არაუგვიანეს 1 აგვისტომდე უნდა წარადგინოს. იმავდროულად, საინიციატივო ჯგუფის მიერ კანდიდატის წარდგენა დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისის საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მხარდამჭერ ამომრჩეველთა არანაკლებ 1 პროცენტის ხელმოწერებით,[33] რაც რაოდენობრივად შეიძლება პარტიის მიერ მოსაგროვებელი ხელმოწერების რაოდენობაზე გაცილებით ნაკლები იყოს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მაშინ, როდესაც საინიციატივო ჯგუფები მხოლოდ საარჩევნო მიზნებისთვის, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე საკრებულოს დამოუკიდებელი წევრობის კანდიდატის ან მერობის დამოუკიდებელი კანდიდატის წარდგენის მიზნით იქმნებიან, პოლიტიკური პარტიები პოლიტიკურ ცხოვრებას არასაარჩევნო პერიოდშიც აგრძელებენ, რაც, თავის მხრივ, ამ ორ საზოგადოებრივ ჯგუფს ერთმანეთისგან არსებითად განასხვავებს.

საინიციატივო ჯგუფები ასევე იშველიებდნენ სხვა არგუმენტს იმასთან დაკავშირებით, რომ საარჩევნო კოდექსი საინიციატივო ჯგუფის მიმართვისთვის ადგენდა ზედა ვადას (ვადის ზედა ჭერს, არჩევნებამდე არაუგვიანეს 57-ე დღისა) და არაფერს ამბობდა რეგისტრაციის საწყის ვადაზე, რაც ნიშნავს განსხვავებულ რეჟიმებს საინიციატივო ჯგუფებისა და პარტიებისთვის. აღსანიშნავია, რომ ეს რეჟიმები შინაარსით ერთმანეთის იდენტურია და არგუმენტი რეგისტრაციის განსხვავებული რეჟიმების შესახებ საინიციატივო ჯგუფებსა და ისეთ პარტიებთან მიმართებით, რომლებიც რეგისტრირებულნი იყვნენ, წინა საპარლამენტო არჩევნებზე ან არჩევნების დანიშვნის დღისთვის ჰყავდათ წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში, საფუძველს მოკლებულია. უნდა აღინიშნოს, რომ პარტიების შემთხვევაში წინადადება დაკონკრეტებულია - „საკრებულოს არჩევნების დანიშვნის შემდეგ, არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 57-ე დღისა“,[34] ხოლო საინიციატივო ჯგუფების შემთხვევაში გამოტოვებულია წინადადება - „საკრებულოს არჩევნების დანიშვნის შემდეგ“, რაც სამართლებრივი

[29] 2017 წლის 1 ივნისს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში რეგისტრაციაში გატარდა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ევროპული დემოკრატები.“ .

[30] არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირმა“ 2017 წლის 3 ივლისს ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიას სადამკვირვებლო ორგანიზაციად რეგისტრაციისთვის მიმართა.

[31] მუხლი 142, პუნქტი 1.

[32] მაგალითად, თუ პარტია აკმაყოფილებს 142-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის მოთხოვნებს და ის კვალიფიციური სუბიექტია - 1000 ხელმოწერა უნდა მოაგროვოს, ხოლო თუ ის არ არის კვალიფიციური სუბიექტი - სულ ცოტა 25 000. ასევე ასეთმა პარტიამ ხელმოწერები საარჩევნო ადმინისტრაციაში არაუგვიანეს 1 აგვისტოს უნდა წარადგინოს (მუხლი 142, მე-2 პუნქტი).

[33] მუხლი 142, მე-9 პუნქტი.

[34] მუხლი 142, პუნქტი 1, ა) ქვეპუნქტი.

ტექნიკის პრობლემა უფროა, ვიდრე განსხვავებული რეჟიმი საინიციატივო ჯგუფებსა და პარტიებთან მიმართებით.[35]

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 15 ივნისის დადგენილებით,[36] საქართველოში არსებული 12 თვითმმართველი ქალაქიდან 7 ქალაქის სტატუსი გაუქმდა. დადგენილება 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის მორიგი არჩევნების დანიშვნის დღეს შევა ძალაში. თუმცა, მანამდე, საარჩევნო კოდექსის 137-ე მუხლის თანახმად, საარჩევნო ადმინისტრაციამ 2017 წლის არჩევნებისათვის შექმნა საარჩევნო ოლქები და განსაზღვრა მათი საზღვრები, სახელწოდებები და ნომრები.[37] მაგალითად, ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, გორის საოლქო საარჩევნო კომისიის სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვრა 2 საარჩევნო ოლქი, ქალაქ გორისა და გორის საარჩევნო ოლქები.[38] ანუ, ცესკოს განკარგულებით, ცალ-ცალკე ოლქები შეიქმნა: ერთი - თვითმმართველი ქალაქისთვის და ერთი - მუნიციპალიტეტის თემისთვის.

საარჩევნო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების გათვალისწინებით, 2017 წლის 31 ივლისს ცესკომ ცვლილებები შეიტანა #49 განკარგულების დანართში და ისევ გააერთიანა ოლქები.[39]

მიგვაჩნია, რომ აღნიშნულმა დავებმა გამოავლინა მთელი რიგი საკანონმდებლო ხარვეზები, რომელიც ერთ შემთხვევში პოლიტიკური გაერთიანებებისა და საინიციატივო ჯგუფების საარჩევნო რეგისტრაციას, ხოლო მეორე შემთხვევაში არასაარჩევნო პერიოდში საზოგადოებრივი ორგანიზაციების საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობაში ჩართულობას უკავშირდება.[40]. მოსარჩელეების მხრიდან განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა თვითმმართველი ქალაქებისათვის სტატუსის გაუქმებაზე, რასაც ისინი პრინციპულად ეწინააღმდეგებოდნენ. მათი მოსაზრებით, ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც ძალაში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების თარიღის დანიშვნის შემდეგ შევიდოდა, სამართლებრივ ნონსენსს წარმოადგენდა და ადგილებზე პრობლემას ქმნიდა.

საიას მიმართვა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას

საანგარიშო პერიოდში, საიამ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მიმართა და არასაარჩევნო პერიოდში კომისიის სხდომებზე დასწრების უფლების მინიჭება მოითხოვა.

საიას არგუმენტი ეფუძნებოდა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-4 მუხლს, რომლის თანახმად, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის, საარჩევნო სუბიექტების, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობა ხორციელდება ღიად და საჯაროდ. ამავე კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის მიხედვით, საარჩევნო კომისიის სხდომა ღიაა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 32-ე მუხლის თანახმად, თითოეული კოლეგიური საჯარო დაწესებულება ვალდებულია, ღიად და საჯაროდ წარმართოს თავისი სხდომები, გარდა ამ კოდექსის 28-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

აღნიშნულ მოთხოვნაზე საიამ უარი მიიღო, რაც დასაბუთებული იყო იმით, რომ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომებზე დასწრება რეგლამენტირებულია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-15 პუნქტით.[41] ხოლო დაინტერესებულ პირთა მონაწილეობას არეგულირებს ,,საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2015 წლის 25 ნოემბრის №54/2015 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-20 მუხლის მე-8 პუნქტი, რომლის თანახმად, საკითხის შესახებ ცესკოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისთანავე დამსწრე დაინტერესებული პირები ტოვებენ სხდომის დარბაზს. ცესკომ განმარტა, რომ არასაარჩევნო პერიოდში ცესკოს სხდომების ყურება სხდომათა დარბაზის გარეთ დამონტაჟებულ ეკრანზე შეგვეძლო. ორგანიზაციას მიაჩნია, რომ ამგვარი განმარტება მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს.

---

[35] საარჩევნო კოდექსის 116-ე მუხლის მე-3 პუნქტი და 142-ე მუხლის 1. ა) ქვეპუნქტი.

[36] საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 15 ივნისის დადგენილება #987-II.

[37] ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულება #49/2017.

[38] ცესკოს 2017 წლის 27 ივნისის #50-ე განკარგულება.

[39] http://cesko.ge/geo/list/show/110957-gankarguleba-86/2017-31072017 -

[40] საია მუშაობს და ახლო მომავალში გამოაქვეყნებს შესაბამისი დავების სამართლებრივ ანალიზს.

[41] #02-02/1142 31.07.2011.

IX. პოლიტიკური პარტიების დაფინანსება

საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, პოლიტიკური პარტიების დაფინანსების შესახებ ინფორმაცია გაასაჯაროვა. აღნიშნული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ 2017 წლის 6 თვეში პოლიტიკური პარტიების მიერ მიღებულმა შემოწირულებებმა ჯამში 250,355.21 ლარი შეადგინა.[42]

2017 წლის პირველ 6 თვეში ყველაზე მეტი შემოწირულება – 131,179.00 ლარი „ევროპულმა საქართველომ" მიიღო. მეორე ადგილზეა „ახალი პოლიტიკური ცენტრი – გირჩი" – 47816.64 ლარით, ხოლო „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა", 30,000 ლარის ოდენობის შემოწირულებით, მესამე ადგილზეა. „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" მიღებული აქვს 24,051.57 ლარი, ხოლო „ქართული ოცნებას" – 8770 ლარის ფულადი და არაფულადი შემოწირულება. „საქართველოს ქრისტიან კონსერვატიული პარტია" – 6000 ლარი, „საქართველო მშვიდობისათვის" – 720 ლარი, „საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია" – 691 ლარი, „ეროვნულ დემოკრატიული პარტია" – 607 ლარი, „ახალი მემარჯვენეები" – 500 ლარი და „საქართველო რესპუბლიკური პარტია" – 20 ლარი.

გარდა ამისა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა არჩევნებში მონაწილეობის მსურველ ყველა პოლიტიკურ პარტიას და დამოუკიდებელ კანდიდატს მოუწოდა, რომ დროულად დაიწყონ საარჩევნო მიზნებისთვის განხორციელებული ხარჯის დეკლარირება საარჩევნო კანონმდებლობითა და გენერალური აუდიტის 2016 წლის 5 მაისის N2915/2 ბრძანებით დადგენილი წესით, რათა 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო კამპანია გამჭვირვალედ წარიმართოს.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ცნობილი გახდა, რომ საარჩევნო სუბიექტების შემოწირულობებმა ივლისის თვეში 1 329 337,50 ლარი შეადგინა. მათ შორის „ქართულმა ოცნებამ" შემოწირულობის სახით ყველა პარტიაზე მეტი შემოწირულება - 1 270 000 ლარი მიიღო. აგრეთვე აუდიტის სამსახურში განაცხადეს, რომ უწყებამ დაიწყო მოკვლევა „ქართული ოცნების" „ევროპული საქართველოსა" და „გირჩის" კონკრეტული შემომწირველების მიმართ.[43]

X. ადმინისტრაციული რესურსის სავარაუდოდ გამოყენების ფაქტები

საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტების ზრდა დაფიქსირდა. აღნიშნულ გადაწყვეტილებებს საკრებულოები ძირითადად რიგგარეშე სხდომებზე იღებდნენ. იკვეთება, რომ გაზრდილი თანხების ძირითადი ნაწილი ჯანდაცვის, სოციალურ და ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, აგრეთვე, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე გადანაწილდა, რაც, სავარაუდოდ, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის ამომრჩევლის გულის მოგებას ისახავდა მიზნად.

საიას მონიტორებისთვის ცნობილი გახდა ინფორმაცია არაერთი სოციალური და ინფრასტრუქტურული პროექტის შესახებ, რომელსაც აქტიურად ახორციელებდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. საკითხი ეხებოდა სკვერების, ბაღებისა და სპორტული მოედნების რეაბილიტაციასა და მშენებლობას. ადგილობრივი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები ეცნობოდნენ მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს, ხვდებოდნენ მოსახლეობას, ისმენდნენ მათ პრობლემებს და მიმდინარე თუ სამომავლო პროექტების თაობაზე ახალ ინფორმაციას აწოდებდნენ. მაგალითად, უფასო ჯანმრთელობის დაცვის აქციებს ხშირად ესწრებოდნენ სახელმწიფო რწმუნებულები-გუბერნატორები, მათი მოადგილეები, მუნიციპალიტეტების მერები და გამგებლები, ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სხვა მაღალი თანამდებობის პირები.

მონიტორინგის პერიოდში დაფიქსირდა მაჟორიტარი დეპუტატების გააქტიურება, რომლებიც მართავდნენ გასვლით საინფორმაციო შეხვედრებს მოსახლეობასთან, ინტერესდებოდნენ მათი პრობლემებით, იჩენდნენ ინიციატივებს, მაგალითად, მოსახლეობისათვის უფასო სამედიცინო გამოკვლევის განხორციელების თაობაზე.

მიგვაჩნია, რომ მაჟორიტარები და საკრებულოს წევრები ყოველთვის აქტიურ კომუნიკაციაში უნდა იმყოფებოდნენ ამომრჩევლებთან და მხოლოდ საარჩევნო პერიოდში არ უნდა აქტიურდებოდნენ და აბარებდნენ მათ ანგარიშს.

მონიტორინგის განმავლობაში გამოიკვეთა რამდენიმე პროექტი, რომლებიც მოკლევადიანია, ემთხვევა საარჩევნო პერიოდს და, სავარაუდოდ, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებით ამომრჩევლის გულის მოგებას ისახავს მიზნად. 2017 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდა უფასო მედიკამენტების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ქრონიკული დაავადების მქონე მოქალაქეებისათვის სიმბოლურ ფასად მედიკამენტების მიღებას.[44] შესაბამისად, ბენეფიციარებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს, ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტები დაუფინანსდებათ.

[42] http://monitoring.sao.ge/ka/news/126

[43] http://presa.ge/new/?m=politics&AID=58142

[44] http://www.moh.gov.ge/ka/news/3708/)

მედიკამენტების ღირებულება კი, სიმბოლურად, თვეში მაქსიმუმ 1 ლარი იქნება.[45] აღნიშნული პროგრამის ბიუჯეტი არის 3 600 000 ლარი და პროგრამა 2017 წლის ბოლომდე განხორციელდება.[46] აგრეთვე, მონიტორინგის განმავლობაში გამოიკვეთა სახელმწიფო უწყებების მხრიდან სხვადასხვა საქველმოქმედო პროექტის განხორციელების ტენდენცია. ერთ-ერთი ასეთი ტიპის პროგრამა მოსახლეობას უფასო სამედიცინო გამოკვლევებსა და მომსახურეობას სთავაზობს. მაგალითად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსა და სტომატოლოგიურ კლინიკა „New Dent"-ის შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც, სტომატოლოგიური კლინიკა დევნილ მოსახლეობას უფასო სტომატოლოგიურ მომსახურებას უფასოდ გაუწევს. პროექტის პერიოდი საარჩევნო პერიოდს ემთხვევა, 5 თვეს შეადგენს და ის 2017 წლის 1 ივლისიდან დეკემბრის ბოლომდე განხორციელდება.[47]

მონიტორინგის განხორციელებისას, ჩვენი ყურადღება მიიპყრო ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით ახალი, დამატებითი გაზეთის გამოცემამ დუშეთის მუნიციპალიტეტში, რომელიც მხოლოდ 6 თვე, 2017 წლის აპრილიდან სექტემბრის ჩათვლით გამოვა და ადგილობრივ მოსახლეობას მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გაწეული საქმიანობის თაობაზე ინფორმაციას მიაწოდებს. მიუხედავად იმისა, რომ წინასაარჩევნო კამპანია ჯერ არ გამოცხადებულა, ამ ეტაპზე ვერ ვისაუბრებთ კანონმდებლობის კონკრეტული მუხლების დარღვევაზე, თუმცა, აღსანიშნავია, რომ გაზეთის ამ სახით გამოცემა, შესაძლოა, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას წარმოადგენდეს.[48]

სავარაუდოდ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას წარმოადგენდა 2017 წლის 13 ივლისს თბილისის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოების თანამშრომლებისა და თბილისის საბავშვო ბაღების თანამშრომელთა მობილიზების ფაქტი რესტორან ,,ბარაკონში,'' რომელიც მედიით გაშუქდა. ჟურნალისტებთან საუბარში შეხვედრაზე მიწვეული პირები აცხადებდნენ, რომ დაბადების დღეზე იყვნენ მისულნი. როგორც შემდგომ მედიისგან გახდა ცნობილი, ადგილობრივი თვითმართველობისა და ბაგა-ბაღის თანამშრომლები მიწვეულები იყვნენ ,,ქართული ოცნების'' თბილისის მერობის კანდიდატთან შეხვედრაზე. მოგვიანებით, რესტორანში მიწვეულ პირთა ნაწილი „ქართული ოცნების" ოფისში კახი კალაძესთან შეხვედრაზე მივიდა.

აღსანიშნავია, რომ წინა წლებშიც, მაგალითად 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში, საიამ არაერთხელ დააფიქსირა საბიუჯეტო დაწესებულებებში დასაქმებული პირების (პედაგოგების, ექიმების, თვითმმართველობის წარმომადგენლების) რესტორნებში მობილიზების ფაქტები, რომლებსაც ყოფილი ხელისუფლების კანდიდატები აორგანიზებდნენ და შეხვედრაზე მიწვეულ პირებს საკვებით უმასპინძლდებოდნენ. საიას მხრიდან აღნიშნული ფაქტები ამომრჩევლის მოსყიდვად და ადმინისტრაციული რესურსის საარჩევნო მიზნებისთვის გამოყენებად ფასდება.

იმისათვის, რომ საარჩევნო გარემო იყოს თანაბრად ხელმისაწვდომი ყველა სუბიექტისთვის, მნიშვნელოვანია, რომ ადგილი აღარ ჰქონდეს მსგავს ფაქტებს, რომლებიც, თავისი არსით, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ამ ფაქტის განხილვის შემდგომ უწყებათაშორისმა კომისიამ საარჩევნო პროცესში ჩართულ პოლიტიკურ პარტიებსა და არჩევნებში მონაწილეობის მსურველ საჯაროდ გამოცხადებულ კანდიდატებს მოუწოდა, თავი შეეკავებინათ იმგვარი ქმედებებისგან, რომლებიც საზოგადოებაში ადმინისტრაციული რესურსის საარჩევნო მიზნებისათვის გამოყენების განცდას გააჩენდა.[49]

---

[45] ახალი პროგრამის მეშვეობით, მედიკამენტების მიღება შეუძლია ნებისმიერი ასაკის სოციალურად დაუცველ მოქალაქეს, რომლის ოჯახის სარეიტინგო ქულაც განსაზღვრულია 0-დან 100 000-ის ჩათვლით და აქვს შემდეგი ქრონიკული დაავადებები: გულ-სისხლძარღვთა, ფილტვის ქრონიკული და ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები, აგრეთვე, დიაბეტის ტიპი.

[46] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პასუხი საიას. 01.08.2017. #01/50018.

[47] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს პასუხი საიას. #04/07/18844, 25/07/2017.

[48] გაზეთი ,,საარაგვო'' გამოდის ყოველ თვე და მისი ტირაჟი არის 1000 (ათასი) ეგზემპლარი. იგი ფინანსდება თანამდებობრივი სარგოს მუხლში არსებული ეკონომიით - 3 000 (სამი ათასი) ლარით. გაზეთის გამოცემაზე ყოველთვიურად იხარჯება 500 (ხუთასი) ლარი. გაზეთი ფასიანია და მისი ღირებულება შეადგენს 50 თეთრს. ამჟამად გამოსულია სულ სამი ნომერი (მთლიანობაში 3000 ცალი). დუშეთის მუნიციპალიტეტის პასუხი საიას. 30 ივნისი, 2017#05/7160.

[49] 2017 წლის 31 ივლისის რეკომენდაცია.

XI. მუქარის, ზეწოლისა და ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტები

მონიტორინგის განმავლობაში საიას მონიტორებმა სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით ფიზიკური ანგარიშსწორების და ძალადობის 2 და სავარაუდო ზეწოლის 1 ფაქტი დააფიქსირეს.

ფიზიკური ანგარიშსწორება და ძალადობა ახალციხეში

2017 წლის 16 ივლისს ძალადობას ჰქონდა ადგილი ახალციხეში, სოფელ ურაველში, როდესაც თავს დაესხნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელს და მისი ოჯახის წევრებს და ფიზიკურად გაუსწორდნენ.

მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის 16 ივლისს თავდასხმა განხორციელდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კოორდინატორის, ბეგლარ კაპანაძისა და მისი ოჯახის წევრების მიმართ. ამავე ინფორმაციით, საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით არის აღძრული, რაც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ძალადობისთვის.[50]

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების განცხადებით, ბეგლარ კაპანაძე 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე პარტიამ ურაველში კანდიდატად უნდა დაასახელოს, რაც „ქართული ოცნების“ აქტივისტებისთვის გახდა ცნობილი და მას თავს დაესხნენ, რათა დააშინონ.[51] თავის მხრივ, მომხდარს განცხადებით გამოეხმაურა „ქართული ოცნება“ და სამართალდამცავებს მოუწოდა, დროული რეაგირება მოახდინონ მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით.[52]

18 ივლისს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლები პირადად შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაზარალებულებს. საია ასევე დაუკავშირდა ინციდენტში სავარაუდოდ მონაწილე პირებს - ზაზა გელაძეს და გიორგი ლონდარიძეს, თუმცა, მათ ორგანიზაციის წარმომადგენლებთან საუბარი არ ისურვეს.

დაზარალებულები თავდასხმაში ბრალს სდებდნენ პარტია „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს, ახალციხის მერის ყოფილ მოადგილეს, ახალციხის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელს, ზაზა გელაძესა და დასუფთავების სამსახურის უფროსს, გიორგი ლონდარიძეს.

ბეგლარ კაპანაძე იხსენებს, რომ ფიზიკურ დაპირისპირებამდე თავდამსხმელებმა მას პოლიტიკური წარსული და „ნაციონალურ მოძრაობაში“ მუშაობა შეახსენეს. შემდეგ კი, ფიზიკურად გაუსწორდნენ როგორც თავად მას, ისე მის მამას და შვილებს, რომლებიც ოჯახის წევრის დასახმარებლად მივიდნენ. დაზარალებულებმა განმარტეს, რომ ინციდენტში დაახლოებით 9-12 ადამიანი მონაწილეობდა.

ახალციხეში მომხდარ ძალადობრივ ინციდენტთან დაკავშირებით საიამ განცხადება გაავრცელა და საგამოძიებო ორგანოებს „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელსა და მისი ოჯახის წევრებზე ფიზიკური ძალადობის ფაქტის სწრაფი, ობიექტური და სრულყოფილი გამოძიებისაკენ მოუწოდა, რათა ქმედების პოლიტიკური მოტივი გამოკვლეულიყო.[53]

ამასთან, ორგანიზაციამ მოუწოდა პოლიტიკურ პარტიებსა და მათ მხარდამჭერებს, თავი შეეკავებინათ ძალადობისა და დაპირისპირებისაგან, აგრეთვე, ნებისმიერი ქმედებისგან, რომელიც წაახალისებდა ძალადობას.

მომხდართან დაკავშირებით, საიამ წერილობით მიმართა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორის კომისიას და აღნიშნული საქმის შესწავლა მოითხოვა.

აღსანიშნავია, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა პასუხისგებაში ხუთი პირი მისცეს.

2017 წლის 3 აგვისტოს სასამართლომ ხუთი პირი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა. ოთხს 3000 ათასი ლარი, ერთს კი, გირაოს სახით 5000 ლარი შეეფარდა.[54]

დავით ლაგვილავას საარჩევნო შტაბთან მომხდარი ინციდენტი

2017 წლის 18 ივლისს ქალაქ თბილისში, დიდი დიღომში, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარ კანდიდატად დასახელებული დავით ლაგვილავას საარჩევნო შტაბის წინ, ძალადობრივ ინციდენტს ჰქონდა ადგილი. პარტიაში ფიქრობენ, რომ აღნიშნული ინციდენტის მიზანი იყო მათი წინასაარჩევნო კამპანიის ხელშეშლა, მხარდამჭერების, აქტივისტებისა და მომხრე ამომრჩევლების დაშინება და მათზე ზეწოლა.

---

[50] http://sknews.ge/index.php?newsid=13859, http://rustavi2.ge/ka/news/80544

[51] http://sknews.ge/index.php?newsid=13876

[52] http://sknews.ge/index.php?newsid=13872

[53] https://gyla.ge/ge/post/saias-ganckhadeba-akhalcikheshi-momkhdar-dzaladobriv-incidenttan-dakavshirebit#sthash.xKXinw3F.tvKmVuwk.dpbs

[54] http://sknews.ge/index.php?newsid=14133

საიას წარმომადგენლები პირადად შეხვდნენ „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატს, დავით ლაგვილავას. როგორც ლაგვილავამ საიას წარმომადგენლებთან საუბარში განმარტა, მომხდარი ინციდენტი შესაძლოა უკავშირდებოდეს დიდ დიღომში საბურთალოზე მერობის კანდიდატის ზალიკო უდუმაშვილის სტუმრობას და მოსახლეობასთან შეხვედრას.

დავით ლაგვილავას შტაბის ხელმძღვანელი ზვიად კუპრავა თანამშრომლებთან - ლაშა ხურცილავასა და ბადრი ხიდაშელთან - ერთად იმყოფებოდა ოფისის გარეთ, რა დროსაც მათთან მივიდა სავარაუდოდ ნასვამ მდგომარეობაში მყოფი 2 უცნობი პირი. მათ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ენმ-ს წევრებს პარტიული ნიშნის გამო და ბადრი ხიდაშელს ბოთლი მოუქნიეს. ხიდაშელს ექსპერტიზა მომხდარის მეორე დღეს ჩაუტარდა.

ინციდენტს მოგვიანებით თავად დავით ლაგვილავაც შეესწრო, რომელმაც ადგილზე პატრული გამოიძახა. აღსანიშნავია, რომ თავდამსხმელები კვლავ დაბრუნდნენ პარტიის ოფისში და ამჯერად უკვე შენობაში შევიდნენ, სადაც ისინი დააკავეს, თუმცა, იმავე საღამოს გაათავისუფლეს. დავით ლაგვილავას ინფორმაციით, მომხდარის შესახებ გამოძიება დაიწყო სსკ-ის 126-ე მუხლის საფუძველზე. მისივე თქმით, გამოძიება ელოდება ექსპერტიზის პასუხს, ხოლო დანარჩენი დეტალები მისთვის უცნობია.

გოჩა კოკაიას საქმე

2017 წლის 5 ივლისს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გლდანის მაჟორიტარობის კანდიდატის გოჩა კოკაიას სახლში ჩხრეკა ჩატარდა. ეს უკანასკნელი მომხდარს მის პოლიტიკურ საქმიანობას და შეხედულებებს უკავშირებს. გოჩა კოკაია „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ გლდანში მაჟორიტარობის კანდიდატად 2017 წლის 27 ივნისს დაასახელა.

საიას წარმომადგენლები გოჩა კოკაიას გაესაუბრნენ, რა დროსაც მან განმარტა, რომ კანდიდატად წარდგენის შემდეგ გამუდმებით უთვალთვალებდნენ. არაერთხელ შეამჩნია, რომ მის საცხოვრებელ სახლსა და ოფისთან „შკოდას“ ფირმის ავტომობილები იყვნენ მობილიზებულნი, რაც აძლევდა საფუძველს, ევარაუდა, რომ აღნიშნული ავტომობილები მიეკუთვნებოდა „სუსს“ და მას უთვალთვალებდნენ.

2017 წლის 5 ივლისს დაახლოებით 15:00 საათზე სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებმა, სასამართლოს ჩხრეკის ორდერის საფუძველზე, გოჩა კოკაიას საცხოვრებელ სახლში ჩხრეკა ჩაატარეს. კოკაიას განმარტებით, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები მის სახლში თანხას და დოკუმენტებს ეძებდნენ, თუმცა, ეს დოკუმენტები ვერ აღმოაჩინეს. ჩხრეკა მიმდინარეობდა 2 საათის განმავლობაში, რის შემდეგაც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებმა გოჩა კოკაიას პირადი მობილური ტელეფონი ამოიღეს. როგორც თავად ამბობს, „სუს“-ის თანამშრომლები არ იჩენდნენ აგრესიულ დამოკიდებულებას მის მიმართ და ისინი ახორციელებდნენ მხოლოდ მათზე დაკისრებულ მოვალეობას.

კოკაიასთვის ცნობილი გახდა, რომ 2017 წლის 5 ივლისს დილით სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა დააკავეს თამაზ ინალიშვილი, რომელსაც გამოძიება ედავება მოქალაქე ლუკა გვაზავასგან (წვევამდელი), სამხედრო სამსახურის გადავადების მიზნით, ქრთამის აღებას. კოკაიას ინფორმაციით, მოქალაქე ლუკა გვაზავას განცხადებით, გამოძიება მუშაობს ვერსიაზე, რომ ის ინალიშვილს ქრთამის აღებაში ეხმარებოდა. აღსანიშნავია, რომ კოკაიას განცხადებით, 2008 წლიდან 2017 წლის ივლისის ბოლომდე გოჩა კოკაია აპარატის წამყვან სპეციალისტად მუშაობდა „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის აღმოსავლეთ საქართველოს ოფისში“. ამავე სამსახურში მასთან ერთად მუშაობდა თამაზ ინალიშვილიც, რომელთანაც მას თხუთმეტ წლიანი მეგობრობა აკავშირებს.

გოჩა კოკაია აღნიშნულ ვითარებასა და ჩხრეკის ფაქტს უკავშირებს მის პოლიტიკურ აქტივობას, კერძოდ იმას, რომ იგი მაღალი რეიტინგით სარგებლობს გლდანის ოლქის კენტ მიკრორაიონებში, რომელიც დასახლებულია ძირითადად დევნილებით და სადაც, მისი თქმით, ამომრჩეველთა უმრავლესობა მისი მხარდამჭერია.

კოკაია ასევე ამბობს, რომ 2017 წლის 5 ივლისს დაკითხეს იმ სამსახურის მთლიანი აპარატი და თანამშრომლების უმრავლესობა, სადაც თავად მუშაობდა და კითხვებს უსვამდნენ გოჩა კოკაიას საქმიანობის შესახებ. მისი თქმით, ასეთი სწრაფი ტემპებით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები კიდევ უფრო უმყარებს ეჭვს იმის შესახებ, რომ მის წინააღმდეგ მიმდინარეობს პოლიტიკური დევნა და ყოველივე ეს განპირობებულია მისი პოლიტიკური აქტივობით.

მომხდართან დაკავშირებით, საიამ წერილობით მიმართა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორის კომისიას და აღნიშნული საქმის შესწავლა მოითხოვა.

XII. წინასაარჩევნო კამპანიის ხელშეშლის ფაქტები

„ევროპული საქართველოს“ მარში აღმაშენებლის გამზირზე

2017 წლის 23 ივლისს თბილისში, აღმაშენებლის გამზირზე, „ევროპული საქართველოს“ ორგანიზებით გაიმართა აქცია სახელწოდებით - „არა რუსულ ფაშიზმს.“ პარტიის თბილისის მერობის კანდიდატის ელენე ხოშტარიას განცხადებით, აქცია ემსახურებოდა ქართული საზოგადოების ძალიან მკაფიო განწყობის გამოხატვას იმის თაობაზე, რომ რუსული ფაშიზმი საქართველოში ფეხს ვერ მოიკიდებს. აქციას შეუერთდნენ სხვა პოლიტიკური გაერთიანებებიც, რესპუბლიკური პარტიისა და თავისუფალი დემოკრატების წევრებიც.

აღნიშნული აქცია 14 ივლისს გამართული „ქართული მარშის“ პასუხი იყო. ორგანიზატორები გმობდნენ იმ გზავნილებსა და მოწოდებებს, რომლებიც „ქართული მარშის“ წევრებმა გააჟღერეს. კერძოდ, „ქართული მარშის“ მონაწილეები აპროტესტებდნენ ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფ უცხოელთა რაოდენობის ზრდას, მათ ცხოვრებას და საქმიანობას საქართველოში, მოითხოვდნენ არალეგალურად მყოფი პირების გაძევებას და საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის ნებართვის გაცემის აკრძალვას. აღსანიშნავია, რომ „ქართულ მარშს“ კრიტიკული განცხადებით გამოეხმაურა საქართველოს ახალგაზრდა წარმომადგენელი გაეროში - თათია დოლიძე, რის შემდეგაც მას „ქართული მარშის“ ორგანიზატორების მხრიდან სოციალური ქსელის საშუალებით გაჟღერდა ჯგუფური გაუპატიურების მუქარა.

23 ივლისის აქციაზე „ევროპული საქართველოს“ ორგანიზატორებსა და აქციის სხვა მონაწილეებს კვერცხები დაუშინეს „ქართული მარშის“ მხარდამჭერებმა. თუმცა, სიტუაცია მწვავე დაპირისპირებაში არ გადაზრდილა, ვინაიდან ადგილზე მობილიზებული იყო პოლიცია, რომელმაც ვითარების განმუხტვა შეძლო.

ნინო კვიტაიშვილის საქმე

2017 წლის ივლისის თვეში ადგილი ჰქონდა წინასაარჩევნო კამპანიის ხელშეშლის ფაქტს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საბურთალოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ნინო კვიტაიშვილისთვის, რომლის შტაბს უცნობმა პირმა ოთხჯერ ესროლა კვერცხები.

საიას წარმომადგენლები პირადად შეხვდნენ ნინო კვიტაიშვილს, რომელიც აცხადებს, რომ თავდასხმა მის ოფისზე ყოველთვის ღამის საათებში ხორციელდება. საგულისხმოა, რომ თავდამსხმელი ოფისს კვერცხს ახლო მანძილიდან ესვრის, რათა არ დააფიქსიროს მიმდებარე ტერიტორიაზე დამონტაჟებულმა ვიდეოკამერამ.

ინციდენტის ადგილზე ორ შემთხვევაში გამოძახებული იყო საპატრულო პოლიცია, რომლისგანაც კვიტაიშვილი შესაბამისი ზომების მიღებასა და დროულ რეაგირებას ითხოვდა.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ინციდენტი არ გამოირჩევა პირდაპირი და უხეში ძალადობრივი ნიშნებით, ცხადია, რომ მსგავსი ფაქტები წინასაარჩევნო კამპანიის ხელშეშლისკენ არის მიმართული, რაც საფრთხეს უქმნის წინასაარჩევნო კამპანიის მშვიდ გარემოში წარმართვას.

XIII. სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტები

სავარაუდო პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლება

2017 წლის 5 ივნისს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების ცენტრის დირექტორის მიერ სამსახურიდან გათავისუფლდა სასწავლო ნაწილის გამგე ელიზა ყაზიშვილი. გათავისუფლების საფუძვლად მითითებული იყო რეორგანიზაცია, რომელსაც თან სდევდა შტატების შემცირება. აღსანიშნავია, რომ რეორგანიზაციის შემდგომ, ადმინისტრაციის გარდა, არც ერთი რიგითი თანამშრომლის სამსახურიდან გათავისუფლება არ მომხდარა. თავად ყაზიშვილი მის გათავისუფლებას პოლიტიკურ მოტივს უკავშირებს.

როგორც ყაზიშვილი საიას წარმომადგენლებთან საუბარში აღნიშნავს, ის არის „თავისუფალი დემოკრატების“ წევრი და მის გათავისუფლებას წინ უძღოდა არაერთი საჯარო გამოსვლა ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ. მისი განცხადებით, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც არ იყო დამტკიცებული საშტატო ნუსხა, ააიპ-ის დირექტორმა მოსთხოვა მას, დაეწერა განცხადება გათავისუფლების თაობაზე, რაზეც მან უარი განაცხადა. შემდეგ მას ზეპირი ფორმით შეატყობინეს შტატის გაუქმებისა და გათავისუფლების თაობაზე, როდესაც თანამშრომელთა საშტატო ნუსხა ჯერ დამტკიცებული არ იყო. ასევე არ იყო დამტკიცებული საშტატო ნუსხა იმ დროს, როდესაც გამოიცა ბრძანება მისი გათავისუფლების თაობაზე.

საიას მიაჩნია, რომ ელიზა ყაზიშვილის გათავისუფლება არის დისკრიმინაციული ხასიათის, ამიტომ ორგანიზაცია მისი ინტერესების დაცვას სასამართლოში ახორციელებს.

XIV. მედიაგარემო

ტელეკომპანიების „იმედი“, „მაესტროს“ და `GDS`-ის გაერთიანება

2016 წლის ბოლოს ცნობილი გახდა, რომ სამი მსხვილი არხი გაერთიანდებოდა. “იმედმა” ბიძინა ივანიშვილის ოჯახის კუთვნილი ტელევიზია GDS და ასევე ტელეკომპანია “მაესტრო” შეიერთა. შესაბამისად, ეს სამი ტელევიზია ერთი მფლობელის ხელში გადავიდა.[55]აღნიშნული ცვლილებას უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვა საზოგადოებისა და სხვადასხვა ორგანიზაციების მხრიდან, რადგან ეს კონკრეტული ტელევიზიები მიჩნეულნი არიან, როგორც მმართველი გუნდის ინტერესების გამტარებელ მაუწყებლებად, რომელთა გაერთიანებაც ამ კუთხით არსებულ ეჭვებს კიდევ უფრო აღრმავებდა.[56]ცვლილებები უკვე ამ არხების სარედაქციო პოლიტიკასაც დაეტყო.[57] 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ მაესტროზე პოლიტიკური თოქ შოუები დაიხურა, შემცირდა საინფორმაციო გამოშვებების სიხშირე.[58]

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ირგვლივ განვითარებული მოვლენები

2017 წლის დასაწყისში, საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის პოსტზე ვასილ მაღლაფერიძე აირჩიეს, რომელიც თანამდებობაზე არჩევამდე ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის ოჯახის წევრის ტელეკომპანია - GDS-ში იკავებდა მაღალ თანამდებობას. [59]

თავდაპირველად ახალი მენეჯმენტი მაუწყებლის ეთერში ყველა გადაცემის დახურვას აპირებდა, გარდა საინფორმაციო გამოშვება „მოამბისა,“ თუმცა საზოგადოების აქტიურობის შედეგად, ეს ცვლილებები აღარ განხორციელდა. აღსანიშნავია, რომ რეფორმის მსგავსი ფორმით განხორციელება პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა, როგორც მაუწყებლობის შესახებ კანონს, ისე მაუწყებლის პროგრამულ პრიორიტეტებს.

მაუწყებლის ახალი გენერალური დირექტორის არჩევის შემდეგ, კიდევ უფრო გაუმჭვირვალე გახდა საკადრო პოლიტიკა. ახალი თანამშრომლების დიდი ნაწილი ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის ოჯახის წევრის ტელეკომპანია - „GDS“-დან იქნა გადაყვანილი. ჩვენი ინფორმაციით, საკადრო გადაწყვეტილებებები არ მიღებულა კონკურსის და მკაფიო კრიტერიუმების საფუძველზე.

აგრეთვე ახალი გენერალური დირექტორის არჩევიდან მოკლე დროში, ცნობილი გახდა მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონში ინიცირებული ცვლილებების შესახებ, რომელიც მედიის მიმართულებით მომუშავე არაერთი ორგანიზაციის და ექსპერტის მათ შორის საიას მიერ უარყოფითად იქნა შეფასებული.[60]

ივლისის თვეში დაიხურა საზოგადოებრივი მაუწყებლისა და რადიო „თავისუფლების“ ერთობლივი პროექტები „წითელი ზონა“ და „ინტერVIEW“. გავრცელებული ინფორმაციით, გოგი გვახარიასა და სალომე ასათიანის საავტორო გადაცემების დახურვის მიზეზი გახდა არხზე მიმდინარე რეორგანიზაცია. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ორივე გადაცემა გამოირჩეოდა პოლიტიკურად და სოციალურად აქტუალური საკითხების სიღრმისეული გაშუქებით და სიმწვავით, საზოგადოებაში გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი იმის თაობაზე, რომ აღნიშნული გადაცემების დახურვა პირდაპირ კავშირში იყო ადგილობრივი თვითმმართველობის წინასაარჩევნო პროცესთან.

მიუხედავად იმისა, რომ ორივე გადაცემა შეესაბამებოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის იდეასა და საქმიანობის პრინციპებს და სარგებლობდა საზოგადოების მაღალი მხარდაჭერით, საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტმა ისინი დახურა მხოლოდ ზოგადი და აბსტრაქტული მოტივით - რომ ხელმძღვანელობას არ სურს პოლიტიკური გადაცემების გარე რესურსით მომზადება. ამ პროცესში მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ ამ ორი ერთობლივი პროექტის დახურვის პარალელურად,

---

[55] https://jam-news.net/?p=11554&lang=ka

[56] https://jam-news.net/?p=11554&lang=ka

[57] https://jam-news.net/?p=11554&lang=ka

[58] https://jam-news.net/?p=11554&lang=ka

[59] https://jam-news.net/?p=11554&lang=ka

[60] https://gyla.ge/ge/post/saia-mautsyeblobis-shesakheb-kanonshi-mosalodneli-cvlilebebs-uaryofitad-afasebs#sthash.uSrf2OjI.dpbs

კანონპროექტი აერთიანებდა არაერთ ინიციატივას, რომელიც არ იყო თავსებადი საზოგადოებრივი მაუწყებლის კანონით გარანტირებულ სტატუსსა და ფუნქციასთან, არსებითად მცირდებოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის მოქმედი სტანდარტი, იზრდებოდა კორუფციული გარიგებების დადების რისკი, ისევე როგორც დაუსაბუთებლად მცირდებოდა სამეურვეო საბჭოს, როგორც მაკონტროლებელი ორგანოს უფლებამოსილებები

მაუწყებელზე დარჩა სხვა პარტნიორი მედია-საშუალებების მიერ მომზადებული გადაცემები. ეს გარემოება აძლიერებს ეჭვს, რომ - „ინტერWIEV"-ს და „წითელი ზონის" დახურვა პოლიტიკურად მოტივირებული უფრო იყო.

აღნიშნული მიზეზი იყო დაუსაბუთებელი და მიუთითებდა სწორედ პოლიტიკური შინაარსის გადაცემებზე მენეჯმენტის მხრიდან მაქსიმალური და პირდაპირი კონტროლის მოპოვების ინტერესზე.[61]

2017 წლის პირველ ნახევარში, საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტმა, სამეურვეო საბჭოს რეფორმის მორიგი ხედვა ე.წ. „შუქნიშანი" წარუდგინა, რომელიც გადაცემების რეიტინგების მიხედვით დაყოფის შედეგად იყო მომზადებული. საბოლოოდ, რეფორმის თვალსაზრისით, მაუწყებლის სამეურვეო საბჭომ ხმათა უმრავლესობით მენეჯმენტის მიერ შეთავაზებული მესამე გეგმა დაამტკიცა, რომელიც ახალი სეზონიდან (2017 წლის შემოდგომა) გადაცემების რაოდენობის შემცირებას და მათი კონკურსის წესით შერჩევას უკავშირდებოდა. ეს პროცესი არ ეხებოდა საინფორმაციო გამოშვება „მოამბეს" და მაუწყებლის პოლიტიკური ხაზის გადაცემას, რომლის მომზადებაც საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტმა დამოუკიდებლად, საკუთარი რესურსებით გადაწყვიტა.

2017 წლის ივლისის თვეში ცნობილი გახდა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტი ახალი სატელევიზიო ეთერის დაწყებას აპირებდა არა 2017 წლის სექტემბრიდან (როგორც ეს თავიდანვე იყო დაანონსებული), არამედ 2018 წლის იანვრიდან. ოფიციალურად აღნიშნულის მიზეზად მაუწყებელზე დაწყებული მაშტაბური ტექნიკური გადაიარაღების სამუშაოები დასახელდა. [62]

ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის ირგვლივ განვითარებული მოვლენები

საია, ისევე როგორც სამოქალაქო საზოგადოების სხვა წარმომადგენლები, აქტიურად აკვირდებოდა და არაერთხელ გამოეხმაურა 2015 წელს ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის წილებთან დაკავშირებით სასამართლოში მიმდინარე დავას. ორგანიზაციამ არაერთხელ აღნიშნა ის ხარვეზები და გარემოებები, რაც ფიქსირდებოდა დავის განხილვის დროს სასამართლოში და სასამართლო განხილვის პარალელურად, რომლებიც აჩენდა კითხვებს ამ დავასთან მიმართებით სასამართლოს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით; აღნიშნული გარემოებები ასევე ცალსახად ტოვებდა აღქმას, რომ ამ საქმის შედეგთან დაკავშირებით არსებობდა ხელისუფლების დაინტერესება.[63]

"ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ 3 მარტს მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც „რუსთავი 2"-ის საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2 მარტის გადაწყვეტილების აღსრულება დროებით შეაჩერა, 7 მარტის გადაწყვეტილებით კი დროებითი ზომის გამოყენება უვადოდ გაახანგრძლივა, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. [64]

დავა ვიდეორგოლების ირგვლივ

„ევროპული საქართველოს" ვიდეორგოლები, რომლებიც რუსთავი 2-ის ეთერში გავიდა

მონიტორინგის განმავლობაში, „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2"-ის ეთერში გავიდა პოლიტიკური გაერთიანება „ევროპული საქართველოს" 2 ვიდეორგოლი,[65] რომლებიც, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მტკიცებით, პოლიტიკური აგიტაციის ნიშნებს შეიცავდა და ეთერში

---

[61] https://gyla.ge/ge/post/arasamtavrobo-organizaciebi-sazogadoebriv-mautsyebelze-tsiteli-zonasa-da-interview-s-dakhurvis-faqtebs-ekhmianebian#sthash.dwQlXMNM.dpbs
საიამ და კიდევ 4-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ განცხადება გაავრცელა და საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტისგან გადაცემების შენარჩუნება მოითხოვა, რათა დაცული ყოფილიყო პოლიტიკური ნეიტრალიტეტის, დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობის, პლურალიზმის პრინციპები და პრიორიტეტები.

[62] https://on.ge/story/12721

[63] https://gyla.ge/ge/post/uzenaesi-sasamartlos-didi-palatis-mier-telekompania-rustavi-2-is-saqmeze-mighebuli-gadatsyvetilebis-samartlebrivi-shefaseba#sthash.ag3Iir4q.dpbs

[64] http://www.civil.ge/geo/article.php?id=31082

[65] http://rustavi2.ge/ka/news/76319
პირველ ვიდეორგოლში საუბარია დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ სარეკლამო რგოლზე, რომლის მონაწილეებიც არიან პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა თავისუფლებისთვის - ევროპული საქართველოს" ცნობილი სახეები. სარეკლამო რგოლი ეხება დაუნის სინდრომის მქონე მოქალაქეების უფლებებს და თანასწორობის პრინციპებს, თუმცა, აღნიშნულ რგოლში პოლიტიკური გაერთიანების ლიდერები პოლიტიკური ხასიათის მინიშნებებს და მოწოდებებსაც აკეთებენ. მეორე ვიდეორგოლში პოლიტიკური პარტიის ლიდერები საკუთარ პარტიასა და პარტიის ხედვაზე აწოდებენ ინფორმაციას ამომრჩეველს.

არაწინასაარჩევნო პერიოდში იყო გაშვებული, რითაც დაირღვა მოქმედი კანონმდებლობა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საიამ მიმართა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას და გამოითხოვა ინფორმაცია, რომლითაც ცნობილი გახდა, რომ კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების სახით, გამოიკვლია მტკიცებულებები და შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი-2“ ცნო სამართალდამრღვევად „მაუწყებლის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტის,[66] 63-ე მუხლის მე-3 პუნქტისა[67] და 66-ე მუხლის პირველი პუნქტის დარღვევის,[68] ანუ არაწინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური ხასიათის რეკლამის ტელეკომპანიის სამაუწყებლო ბადეში გაშვების გამო.

მიუხედავად იმისა, რომ „რუსთავი 2“ სამართალდამრღვევად იყო ცნობილი, იმავე გადაწყვეტილებით, „შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი-2“ გათავისუფლდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან.

„რუსთავი 2“-ის წარმომადგენლებმა განმარტეს,[69] რომ პირველი ვიდეორგოლი, რომელიც ეხებოდა დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეს, ეთერში განთავსდა სოციალური რეკლამის სახით, ხოლო მეორე ვიდეორგოლი სამაუწყებლო ბადეში გავიდა, როგორც კომერციული რეკლამა[70] და მას არავითარი კავშირი პოლიტიკურ რეკლამასთან არ ჰქონია. აღსანიშნავია ისიც, რომ კომუნიკაციების ეროვნული კომისია მხოლოდ მას შემდეგ დაინტერესდა არასაარჩევნო პერიოდში სხვა ტელეკომპანიების სამაუწყებლო ბადეში გაშვებული პოლიტიკური ხასიათის რეკლამებით, რაც „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-მა“ მოსთხოვა, დაინტერესებულიყო სხვა ტელეკომპანიების სარეკლამო რგოლებითაც, კერძოდ, „ობიექტივისა“ და „იმედის“ რეკლამებით.

საგულისხმოა, რომ კომუნიკაციების ეროვნული კომისია დასჯერდა ტელეკომპანია „იმედისა“ და „ობიექტივისაგან“ მიღებულ პასუხს,[71] რომელთა თანახმად, ისინი იუწყებოდნენ, რომ მათ ეთერში არავითარი პოლიტიკური ხასიათის მქონე რეკლამა არ განთავსებულა.

ამგვარად, გარკვეულ ბუნდოვანებას აჩენს კომისიის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, ერთი მხრივ, „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი-2“ ცნობილი იყო სამართალდამრღვევად, ხოლო მეორე მხრივ, იგი გათავისუფლდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან.

მაუწყებლის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის (ჰ) პუნქტის თანახმად, სოციალური რეკლამა მიზნად ისახავს საზოგადოებრივი სიკეთის ხელშეწყობასა და მნიშვნელოვან საკითხზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას. აღნიშნული განმარტება, ერთი მხრივ, მიესადაგება დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ რეკლამას, რომელიც „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ის“ ეთერში გავიდა, თუმცა, მეორე მხრივ, აღნიშნულ რეკლამაში გაჟღერებულია კონკრეტული პოლიტიკური პარტიის მოწონებისკენ მიმართული მოწოდებები, რომელიც სცილდება განმარტებებს სოციალური რეკლამის შესახებ. ამასთანავე, საარჩევნო კოდექსის მე-2 მუხლის (ჯ) ქვეპუნქტის თანახმად, პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამა განიმარტება, როგორც „მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში (შემდგომში მედია) გასული ისეთი შინაარსის რეკლამა, რომელიც მიზნად ისახავს საარჩევნო სუბიექტის არჩევისათვის ხელშეწყობას/ხელშეშლას, რომელშიც ნაჩვენებია საარჩევნო სუბიექტი ან/და მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი და რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს ან მოწოდებებს სარეფერენდუმოდ/საპლებისციტოდ გამოტანილი საკითხის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ“. შესაბამისად, პოლიტიკური პარტია „ევროპული საქართველოს“ წევრების მონაწილეობით ნაჩვენები ვიდეორგოლი, რომელშიც პარტიის სახეები საუბრობენ მათი პოლიტიკური გეგმებისა და ხედვების შესახებ, ზემოთ აღნიშნული განმარტების მიზნებიდან გამომდინარე, ცალსახად შეიცავდა პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის ნიშნებს.

ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ მოიცავს რეგულაციებს არასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური რეკლამის გაშვების თაობაზე, რაც პრობლემური გახდა „რუსთავი 2“-ის შემთხვევაში. პირიქით, მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 66-ე მუხლი უკრძალავს პოლიტიკურ გაერთიანებებს, არასაარჩევნო პერიოდში შეისყიდონ მაუწყებლის მომსახურება, რის გამოც მოხდა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მხრიდან ამ საკითხზე აპელირება.

---

[66] 1. მაუწყებელი ვალდებულია, უზრუნველყოს მის მიერ გადაცემული პროგრამების, რეკლამისა და სპონსორების შესახებ ინფორმაციის საქართველოს კანონმდებლობასა და ლიცენზიის/ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობა.

[67] მაუწყებელი პასუხს არ აგებს წინასაარჩევნო და სოციალური რეკლამების შინაარსზე. წინასაარჩევნო და სოციალური რეკლამების შინაარსზე პასუხისმგებლობა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ეკისრება შესაბამისი რეკლამის დამკვეთს.

[68] აკრძალულია ადმინისტრაციული ორგანოს,პოლიტიკური პარტიის, თანამდებობის პირისა და საჯარო მოსამსახურის მიერ მაუწყებლის დაფინანსება, აგრეთვე, მისი მომსახურების შესყიდვა და მაუწყებლის პროგრამების მომზადების ან/და ეთერში გადაცემის პირდაპირი ან ირიბი დაფინანსება ან თანადაფინანსება, გარდა ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

[69] 10.04.207 შ-6/3010-17

[70] 5.05.107 შ-6 3614-17

[71] 5.06.107 შ6/4267.17

შესაბამისად, ბუნდოვანია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, კომისიამ „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ სამართალდამრღვევად ცნო, თუმცა, მის წინააღმდეგ არ გამოყენებულა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის არანაირი სახე. შესაბამისად, ჩნდება კითხვები, ხომ არ უკავშირდება ამ სახის გადაწყვეტილების მიღება იმ გარემოებას, რომ მსგავსი სახის სამართალდარღვევა შეიძლება ჩადენილი ჰქონოდათ სხვა სამაუწყებლო კომპანიებსაც, თუმცა, აღნიშნულს კომისიის მხრიდან სათანადო რეაგირება არ მოჰყოლია. აქედან გამომდინარე, შესაძლოა, აღნიშნული გადაწყვეტილების მიზეზი გახდა სამაუწყებლო კომპანიების არათანაბარ ვითარებაში ჩაყენების საფრთხე, რომლის წინაშეც კომუნიკაციების ეროვნული კომისია აღმოჩნდებოდა, თუკი სანქციის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილებას მხოლოდ „რუსთავი 2“-თან მიმართებით გამოიტანდა.

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ეთერში გასული ვიდეორგოლი

2017 წლის 19 ივნისს პოლიტიკურმა პარტიებმა „თავისუფალმა დემოკრატებმა“ და „რესპუბლიკელებმა“ საზოგადოებრივ მაუწყებელს სოციალური რეკლამის განთავსების წესების დარღვევის თაობაზე კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში უჩივლეს.

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ეთერში გადიოდა რეკლამა საქართველოში მიმდინარე საკონსტიტუციო რეფორმის შესახებ. კერძოდ, რეკლამაში ხაზგასმული იყო, რომ რეფორმის ფარგლებში საქართველო საპრეზიდენტო მმართველობიდან გადადიოდა საპარლამენტო მმართველობაზე, ხოლო ევროპული საპარლამენტო მმართველობა პრეზიდენტის არაპირდაპირი წესით არჩევას გულისხმობდა.

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა აზრით, აღნიშნული რეკლამა, რომელიც სოციალური რეკლამის სახით გადიოდა ეთერში, რეალურად პოლიტიკური აგიტაციის ნიშნებს შეიცავდა და მიმართული იყო მოსახლეობისათვის მმართველი პოლიტიკური გუნდის იდეების მიწოდებისა და პოპულარიზაციისაკენ.

მეტიც, მათი თქმით, აღნიშნული რეკლამით, ირღვეოდა „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ უმთავრესი იდეა ნეიტრალიტეტისა და პლურალიზმის შესახებ, ვინაიდან ვიდეორგოლი ცალსახად მიმართული იყო საკითხის იმ კუთხით გაშუქებისკენ, რომელიც კონკრეტული პოლიტიკური პარტიის ინტერესებს გამოხატავდა.

2017 წლის 13 ივლისს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ იმსჯელა და საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ კანონის დარღვევა არ დაადგინა. კომისიამ მიიჩნია, რომ ვიდეორგოლი, სრულად შეესაბამებოდა სოციალური რეკლამის კრიტერიუმებს.[72] კომისიის არგუმენტით, რეკლამის დამკვეთი რგოლში მითითებული არ იყო, ასევე, მაუწყებლის კომპეტენციაში არ შედიოდა რეკლამის შინაარსში ჩარევა და ის სრულად შეესაბამებოდა სოციალური რეკლამის კრიტერიუმებს, ვინაიდან საკონსტიტუციო რეფორმა ქვეყნისათვის ნამდვილად მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა და აღნიშნული ვიდეორგოლით მაუწყებელი მოსახლეობას აწოდებდა ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რას ისახავს მიზნად ეს კონკრეტული რეფორმა.

საია მიიჩნევს, რომ სოციალური რეკლამის სტატუსით გადაიცემოდა ინფორმაცია მიმდინარე საკონსტიტუციო რეფორმის თაობაზე იმგვარად, რომ ის ამომრჩეველს ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილების სასარგებლოდ განაწყობდა. მაგალითად, აღნიშნულ რეკლამაში ამომრჩეველი ისმენდა, რომ „დახვეწილ ევროპულ საპარლამენტო რესპუბლიკებში პრეზიდენტი არ აირჩეოდა პირდაპირი წესით.“ ვინაიდან რეკლამა თავის თავში მოიცავდა პოლიტიკური რეკლამის ნიშნებს, ის სოციალურ რეკლამას აღარ წარმოადგენდა. ამიტომ, საიას აზრით, საჩივრის ავტორების მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილებულიყო.

[72] https://www.gncc.ge/ge/legal-acts/commission/solutions/2017-464-12.page

თბილისი

2017 წლის 25 ივლისს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 4 500 000 (ოთხი მილიონ ხუთასი ათასი) ლარით გაიზარდა.[73] ასევე, 15 000 000 ლარამდე თანხა ბიუჯეტის შიგნით პროექტებში გადანაწილდა. როგორც ცნობილია, თანხები შემდეგ პროგრამებს დაემატა: ჯანდაცვის პროგრამები - 2 200 000 ლარი, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა - 7 000 000 ლარი, სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებები - 4 000 000 ლარი, საგზაო ინფრასტუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა-შეკეთება - 1 074 000 ლარი.[74] ცვლილებების შედეგად, თბილისის ბიუჯეტი დაახლოებით 830 000 000 ლარამდე გაიზარდა.

იმერეთი

2017 წლის 28 ივნისს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი **2 346 800** ლარით გაიზარდა. საბიუჯეტო ცვლილების შედეგად, 50 000 ლარი ტურიზმის საინფორმაციო ცენტრს, 526 000 ლარი პროგრამა „კორპუსს", 300 000 ლარი ქალაქში სპორტული ტრენაჟორების დამონტაჟებას და 22 000 ლარი საბავშვო ტრენაჟორების მოწყობას დაემატა. საბიუჯეტო ცვლილების ყველაზე მსხვილი კომპონენტი - 1 მილიონი ლარი - საბინაო ფონდს ნიკეას ქუჩაზე მდებარე სოციალური საცხოვრისისთვის დაემატა. ქუთაისის ადგილობრივი ბიუჯეტი აღნიშნული ცვლილების შემდეგ 66 747 700 ლარით განისაზღვრა.[75]

აჭარა

2017 წლის 5 ივლისს ქალაქ ბათუმის ბიუჯეტი **111 000 ლარით** გაიზარდა. 91 000 ლარი „მისტერ და მისის პლანეტისა" და აჭარის მოდის კვირეულის დაფინანსებისთვის გამოიყო. ამასთან „კულტურული მემკვიდრეობის განვითარების ხელშეწყობის" პროგრამას 20 ათასი ლარი დაემატა. საერთო ჯამში, ბათუმის ბიუჯეტი 162 მილიონ 300 ათას ლარს შეადგენს.[76] 2 მილიონ 300 ათასი ლარით გაიზარდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი. ცვლილება საკრებულოს სხდომაზე დაამტკიცეს. თანხები ძირითადად ინფრასტრუქტურულ სამუშაოებსა და სოციალურ პროექტებს მოხმარდება. ასევე, იგეგმება ახალშენში საბავშვო ბაღის მშენებლობა. აღნიშნული თანხიდან 32 ათას 250 ლარი დაემატა ჯანდაცვის სფეროს, ამოქმედდება ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტების მედიკამენტოზური მკურნალობის პროგრამა. მუნიციპალიტეტის საკრებულოს ორი კვარტლის შესრულების ანგარიშის მიხედვით, მიმდინარე წელს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილმა 138% შეადგინა.

ქვემო ქართლი

2017 წლის 15 ივნისს რუსთავის ბიუჯეტი 1 787 000 ლარით გაიზარდა. აქედან, 1 294 300 ლარი 30 სპორტული მოედნის დასაფინანსებლად, ხოლო დანარჩენი 492 700 ლარი სხვადასხვა სამსახურისა და აიპების დაფინანსებისთვის გამოიყო. ძირითადი თანხები ასე გადანაწილდა: 200 000 ლარი - გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაციისთვის, 20 000 ლარი - ქალაქ რუსთავის საიმიჯო ჟურნალ-კატალოგის შექმნისა და გამოცემისთვის, 70 000 ლარი - ინდივიდუალური დახმარების პროგრამებისთვის, 33 000 ლარი - ახალგაზრდობის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრისთვის (სპორტული შეჯიბრებებისთვის), 14 000 ლარი - ბიბლიოთეკებისთვის, ხოლო 110 000 ლარი - სპორტული და საბავშვო ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაციისთვის.

მცხეთა-მთიანეთი

საანგარიშო პერიოდში დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილება 11 ივლისს განხორციელდა, რის შემდეგაც ბიუჯეტი 408 100 ლარით გაიზარდა. მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი - 399 100 ლარი და 9000 ლარი საკუთარი შემოსავლები. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხიდან 399 100 ლარი მთლიანად მიმართული იყო ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობაზე, რეაბილიტაციასა და ექსპლუატაციაზე. ასევე, შიდა საბიუჯეტო თანხების გადათამაშებით გაიზარდა:

---

[73] http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/444901-thbilisis-sakrebulom-biujetshi-cvlilebebis-proeqti-daamtkica.html?ar=A

[74] http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/444905-thbilisis-biujetis-gazrdasthan-dakavshirebith-sakrebulo-oficialur-informacias-avrcelebs.html?ar=A

[75] http://www.kutaisipost.ge/akhali-ambebi/article/8168-quthaisis-biujetshi-2-345-000-laris-cvlileba-shevida

[76] http://ajaratv.ge/news/ge/17296/mister-da-misis-planeta.html.html
http://ajaratv.ge/news/ge/18208/2-milion-300-atasi-larit-gaizarda.html.html

ა) სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, ექსპერტიზის და ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის შედგენის ხარჯი - 78200 ლარით. ბ) მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 9000 ლარით. გ) ეკონომიკურად გაჭირვებულ მოქალაქეთა სამედიცინო დაწესებულებაში სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურების დაფინანსება - 19000 ლარით.